წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 27 თებერვალი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 6


## ჟურნალის შინაარსი


ორიენტაციის საკითხები—**ყარიბი**; 25 თებერვალი—**კ. ხულაქველიძე**; 25 თებერვალი და დღევანდელი საქართველო—**კ. მ-ჭარაძე**; საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავი—**პეტრე ახალკაცი**; მოსალოდნელ ავანტიურის გამო—**კ. გოგოლაძე**; საბჭოთა საქართველოს მიღწევები—**ბ. ბიბინეიშვილი**; ახალგზელების კრება; **ნიკო ელიავას სიტყვა**; მოწოდება; **ანდრო ჭიაბრიშვილის** განცხადება; უცხოეთის ეკონომიური მიმოხილვა—**ივ. ნარსია**; ექ. დიმიტრი ნაზაროვის გარდაცვალების გამო—**ვ. ლ—ძე**; უნდა ხმა ამოვიღოთ—**გრ. ჟღენტი**; ყოფ. ახ. მარქსისტა განყოფილება—რა ვაკეთოთ—**ანტონ შავგულიძე**; მოწაფის ხმა—**მოწაფე**.


# ორიენტაციის საკითხები

II.

ის, რაზედაც დღეს გვინდა მკითხველს ვესაუბროთ, შეიძლება არ შეადგენდეს პირდაპირ ორიენტაციის საკითხს, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის თავზე მეტად არ მიგვაჩნია ძოვიგონოთ ჩვენი ახლო წარსულიდან ზოგი რამ ისეთი, რაც არა თუ მკითხველების ფართე მასის, თვით საქ. ყოფ. დამფუძნებელი კრების წევრების დიდი უმეტესობისათვის ბურუსით იყო და არის მოცული და რაც, ჩვენის აზრით, ნათელს მოფენს საქართველოს გასაბჭოების ისტორიას.

ამ წერილში ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საქ. დემოკრ. რესპუბლიკის არსებობის დროს რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელი ს.-დ პარტიის ლიდერებს შორის სწარმოებდა თუმცა მეტის მეტად ჩუმი და დიპლომატიური, მაგრამ იმავე დროს ერთობ სასტიკი და დაუზოგავი ბრძოლა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. მებრძოლთა ერთ ჯგუფს მეთაურობდა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია, მეორეს—ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი.

ჩვენში როგორც კომუნისტების, ისე ყოფილ მენშევიკებისა და საერთოთ ქართველ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ნოე ჟორდანია 1917 წლის რევოლიუციისა და განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წინააღმდეგი იყო რუსეთის ორიენტაციისა.

ნოე ჟორდანიას შესახებ ასეთი აზრი არ არის მართალი. სინამდვილეში ჩვენ სრულიად წინააღმდეგი ვიცით: ნოე ჟორდანია არა თუ თავისი პოლიტიკურ და ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდან მეთაურობდა საქართველოში რუსეთთან მჭიდრო კავშირის მომხრეებს, ის დარჩა რუსეთთან მჭიდრო კონტაქტის მომხრეთ 1918 წლის 26 მაისს შემდეგაც, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

მართალია, 26 მაისს შემდეგ მან წამოაყენა დებულება: „არც აქეთ, არც იქეთ, პირდაპირ ევროპისაკენ“, —მაგრამ მას თვითონაც არ სჯეროდა ამის შესაძლებლობა და, რაც უფრო საყურადღებოა, მას არ სწამდა, რომ ამ დებულების განხორციელება სასარგებლო იქნებოდა ქართველ ხალხისათვის.

ნ. ჟორდანიას ასეთი ფორმულა იმ თავიდანვე არა გავდა სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელის მედგრად გადადგმულ ნაბიჯს. ეს დებულება უფრო რომანტიული ბუნების იყო და ასეთად დარჩა, როგორც დემოკრატიულ საქ. არსებობის დროს, ისე მისი გასაბჭოების შემდეგაც. ამიტომ არის, რომ ნ. ჟორდანია ასე უიმედოთ ეძებს ამ მის მიერ წამოსროლილ ფორმულის დასასაბუთებლად საფუძველს და დღემდეც ვერ მოუნახავს გარდა რაღაც მისტიური ბურუსით მოცული „ევროპასთან საერთო კულტურის აკვანისა“, რომელშიც ასე მაგრათ არის ჩაარტახებული უხერხემლოთ და უძვლოთ დაბადებული იდეია საქართველოს ევროპისაკენ მიბრუნებისა.

ნოე ჟორდანიას საქ. დემ. რესპუბლიკის არსებობის დროს ერთხელაც არ უღალატნია რუსეთისა და საქართველოს შორის მჭიდრო კავშირის აუცილებლობის გრძნობისათვის. და ეს მან დაამტკიცა ისეთი ნაბიჯის გადადგმით, რომლის მსგავსი მეორეც არ ახსოვს არა

თუ საქართველოს, თვით მსოფლიო დემოკრატიისა და დემოკრატიულ წეს-წყობილების ისტორიას. ნოე ჟორდანიამ ერთობ დიდი მსხვერპლი მიუტანა რუსეთისა და საქართველოს შორის მჭიდრო კავშირის აუცილებლობის იდეიას. მან ამ მიზნის განსახორციელებლად უდიდესი დანაშაული ჩაიდინა ხალხის წარმომადგენლობის, საქართველოს დამფუძნებელ კრების წინაშე.

როცა ამას ვლაპარაკობთ, ჩვენ სახეში გვაქვს რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულობის მოწყობაში ნ. ჟორდანიას ტაქტიკა. თუ მოვიგონებთ, რომ ისეთი დიდი საქმე, როგორც არის ორ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულობის აქტის დადება, ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების არსებობის დროს, მოაწყო თითქმის ჩართოთ-მარტო, შინაურულად საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაუკითხავად, ისე თითქო, ის იკეთებდა თავის საკუთარ საქმეს, რომელშიც მას შეეძლო არავისთვის ანგარიში არ მიეცა. მის მოქმედებას არ შეიძლება სხვა სახელი ვუწოდოთ თუ არა უზურპაცია, თუ არა დემოკრატიულ სახელმწიფოში დემოკრატიზმის და ხალხის უფლებების ფეხით დათელვა, რის მსგავსს არ აპატიებდენ არა თუ მუსოლინს, თვით საშუალო საუკუნოების იმპერატორებსაც კი. ასეთი აქტის ჩადენისთვის ძველ საბერძნეთში მეფეებს ქვებით ჩაქოლავდენ, ძველ რომში კი მთავარ-სარდალს ხელ-ფეხ შეკრულს მისცემდენ იმ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც ის სენატის დაუკითხავად პირობას დასდებდა.

ნ. ჟორდანიას ასეთმა „უზურპატორულმა“ მოქმედებამ დამფუძნებელ კრებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. არა თუ სხვა პარტიების წარმომადგენლები,—დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ თვით ს.-დ. ფრაქციის წევრების უმეტესობაც.

რათ ჩაიდინა ნ. ჟორდანიამ ასეთი დანაშაული საკანონმდებლო ორგანოს წინაშე? რათ მიითვისა მან დამფუძნებელი კრების როლი?

იქნება გეგონოთ, რომ ის ჩვეულებრივად ისე იქცეოდა ყოველთვის პარტიაში და მთავრობაშიო. ეს მართალი არ არის. ნოე ჟორდანიას არ ჩაუდენია ამის მსგავსი რამ მაშინაც კი, როცა იგი საქ. პარლამენტის მიერ „განსაკუთრებულის უფლებებით“ იყო აღჭურვილი. მას ერთხელაც არ უსარგებლია თავისი ისეთი „უფლებებით“ მთავრობის სხდომებზე სრულიად უბრალო კითხვების გარჩევის დროსაც კი. საილუსტრაციოთ აქ მოვიყვანთ ისეთს ფაქტს, რომლის სინამდვილეც ყველას შეუძლია შეამოწმოს. საქ. დემოკრ. მთავრობის სხდომების ოქმებში არის ასეთი მაგალითი: —მიწათ მოქმედების მინისტრი მოითხოვს, რომ დადასტურებულ იქნეს, $3^1/_2$ მილიონი მანეთი მეტი დანახარჯი (перерасход). ნ. ჟორდანია ამის წინააღმდეგია, ის ვრცელ და მრისხანე სიტყვას ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სამინისტროები ვერ იჩენენ საკმაო უნარს მომჭირნეობის საქმეში და უზოგველად ხარჯავენ ხალხის ფულებს... კენჭის ყრის დროს მთავრობის ყველა წევრები მომხსენებელს აძლევენ ხმას მთავრობის თავმჯდომარის ხმის წინააღმდეგ. მკითხველს, ალბათ, გონია, რომ ნოე ჟორდანიამ ისარგებლა თავისი „განსაკუთრებული უფლებებით“ და ეს გადაწყვეტილება Veto-ს საშუალებით გააუქმა. სრულიადაც არა: მან მდივანს უბრძანა:—ჩემი კერძო აზრი ოქმში შეიტანეო. როცა მას მორიდებულად მოაგონეს მის „განსაკუთრებულ უფლებებზე“, მან უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი და მდივანს უფრო ენერგიულად გაუმეორა თავისი ბრძანება...

ასეთი მაგალითები ბევრი იციან ნ. ჟორდანიას მთავრობის ყოფილმა წევრებმა. მისმა მახლობელმა ამხანაგებმა კარგათ იციან, რომ ის ყოველთვის გადაჭრებით უწევდა ანგარიშს უმეტესობის აზრს. ეს მისი დამახასიათებული თვისებაა. ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ ნოე ჟორდანიას ასეთი სისუსტით ყოველთვის სარგებლობდა ნ. რამიშვილი, რომელიც იმ მიზნით, რომ იგი ავისი გავლენის ქვეშ დაეყენებია, ყოველთვის უქმნიდა მას ხელოვნურად უმეტესობის აზრს. ჩვენ გვგონია, რომ ამისი ასეთი თვისებით დღესაც სარგებლობს ნ. რამიშვილი.

და აი ასეთი ნ. ჟორდანია, რომელიც სულ უბრალო საქმეებშიც კი კოლეგის უმეტესობის აზრს ემორჩილება, აკეთებს ისეთ ნაბიჯს, რომელსაც არ შეიძლება ისტორიკოსმა არ უწოდოს უზურპატორობა.

რით უნდა ავხსნათ ამ ადამიანის ასეთი ნაბიჯი?

აქ მხოლოდ ერთად-ერთი პასუხი შეიძლება: ასეთი ნაბიჯი მან გადასდგა სრულიად მოფიქრებულად, სრულის შეგნებით, რადგანაც ის დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის უმისოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, **„წყალზე ფეხით გაჩერება“** იქნებოდა.

ისტორია გაამართლებს ნ. ჟორდანიას ასეთ „უზურპატორობას“. ის იტყვის, რომ ნ. ჟორდანიამ ამ აქტით გადადგა ისეთი ნაბიჯი, როგორსაც მას უკარნახებდა ქართველი ხალხის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი. ნ. ჟორდანია, რომელსაც სამი წლის განძავლობაში ხელთ ეპყრა საქართველოს პოლიტიკური საჭეა მწარე გამოცდილებით დარწმუნდა, რომ საქართველოს ურუსეთოთ არსებობა არ შეუძლია. მან ეს იგრძნო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე... და თუმცა ის სიტყვით ყველა გზა-ჯვარედინზე გაიძახოდა:—„გასწით წინ, პირდაპირ ევროპისაკენო“,—საქმით კი აწყობდა პლანებს საბჭოთა კავშირთან დასაახლოვებლათ, ეძებდა საერთო ენას კომუნისტებთან სალაპარაკოდ. არც ერთი მისი მოწინააღმდეგე არ უარყოფს იმას, რომ ნ. ჟორდანიამ დიდი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. მაგრამ 1920 წლის 7 მაისის აქტი ეს უდიდესი საქმეა მის მოღვაწეობაში. კიდევ მეტიც: ეს მისი ფორმალურად „უზურპატორული“ ნაბიჯი უდრის ირაკლი მეორეს მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ამ ორ აქტს ერთად მადლობით მოიხსენიებს საქართველოს ისტორია.

ჩვენ ბევრჯერ გვინახავს ნ. ჟორდანია ჭირშიც და ლხინშიც. ახალგაზრდობაშიც და მოხუცებულებაშიც, მაგრამ არასოდეს არ გვინახავს იგი ისე უზომოდ გახარებული, როგორც იმ დღეს, როცა მას მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით შეატყობიეს: ლენინი მზად არის საქართველოს შეურიგდეს და მისი დამოუკიდებლობა იცნოსო.

წაიკითხეთ მისი დეპეშა, რომელიც მან ამ ისტორიული აქტის გამო გაუგზავნა მოსკოვში თავის წარმომადგენელს: —„გილოცავ საზავო ხელშეკრულობის დადებას. გადაეცით კომისართა საბჭოს, რომ ცნობა ზავის შესახებ კმაყოფილების გრძნობით და აღტაცებით მიიღო ხალხმა. იმედი მაქვს, აწი არავითარ გაუგებრობას რუსეთსა და

საქართველოს შორის ადგილი ბლარ ექნება და ორივე მოძმე ერი ერთად თანხმობით შეუდგებიან საერთო ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე მოწყობის საქმეს. სალამი მეგობრრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს. ნ. ჟორდანია".

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს არა გავს დიპლომატის მიერ დაწერილ დეპეშას. აქ ჩვენ ვხედავთ არა მთავრობის თავმჯდომარეს, არამედ ძველ რომანტიკოსს, რომელსაც ვერ შეუკავებია მთელ მის არსებაში დაგუბებული გრძნობები; ჩვენ აქ ვხედავთ ძველ **კასტროვს**, რომელიც ლენინთან და სხვებთან ერთად ემსახურობოდა დიდი რევოლიუციის საქმეს, ამზადებდა იმ გრიგალს, რომელმაც ერთი დაკვრით დალეწა რუსეთის თვითმპყრობელობა...

ნ. ჟორდანიას ყოფილმა ამხანაგებმა ძალიან კარგათ იციან, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა იგი საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებას, მათ იციან, თუ როგორ შეწუხებული იყო იგი იმ გარემოებით, რომ ყველა ამხანაგები არ იზიარებდენ მის ასეთ ალტაცებას ამ აქტის გამო.

და მართლაც, როგორც ზემოდ ვთქვით, იყო ჩვენს ამხააგებში ჯგუფი, რომელიც ამ ნიადაგზე ებრძოდა ნ. ჟორდანიას. ეს ჯგუფი რიცხვით არ იყო მაინცა და მაინც დიდი. თავის თავად იგი არავითარ ძალას არ წარი მოადგენდა ჟორდანიას წინააღმდეგ, მაგრამ ის ძლიერ. იყო იმით, რომ მას მეთაურობდა ნ. რამიშვილი, რომელსა/ც რუსეთის ხსენებაზე ყოველთვის ნერვები ეშლებოდა

აი ამ პატარა ჯგუფსა და ნ. ჟორლანიას შორის დაიწყო ბრძოლა. ის ამხანაგები, რომლებიც ორივე ნოეს კარგათ იცნობდენ, იმ თავიდანვე იყვენ დარწმუნებული, რომ ამ ბრძოლაში ნ. ჟორდანია დამარცხდებოდა.

ნ. რამიშვილი მართლაც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ 7 მაისის აქტი უბრალო ქაღალდის ნაგლეჯათ ექცია, რომ მას არავითარი რეალური მნიშვნელობა არ მისცემოდა. ნ. რამიშვილმა მართლაც ძალიან ნიჭიერად მოაწყო საქართველოში კომუნისტების წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდის საქმე. ჩვენი პრესა ისე ახასიათებდა საბჭოთა რუსეთს, როგორც ჯოჯოხეთს. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მკითხველი დაჯერებული იყო, რომ თუ კომუნისტები საქართველოში შემოვიდოდენ, ყოველ ქართველს სიკვდილით დასჯიდენ.

ეს ძვალ-რბილში ქონდა გამჯდარი ყველა ქართველ ინტელიგენტს მაინც... თუ ვინმე საბჭოთა რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდოდა, ნ. რამიშვილი მას მაშინვე მიიმხრობდა და ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ გამოიყენებდა: აწერინებდა სტატიებს საბჭოთა რუსეთის ბარბაროსობაზე, აკითხვებდა ლექციებს და სხვა და სხვა... ყველა ეს იბეჭდებოდა ბროშურებად და რიგდებოდა ხალხში.

მოსკოვმა ჩინებულად იცოდა ამ ბრძოლის ამბავი, იგი ასე თუ ისე ნდობით უყურებდა მხოლოდ ნ. ჟორდანიას, მაგრამ მან იცოდა, რომ თუ ამ ბრძოლაში ჟორდანია დამარცხდებოდა, საქართველო ვერ შესძლებდა არა თუ მოსკოვთან დადებული ხელშეკრულობის პირნათლად შესრულებას, ის ვერ შესძლებდა უბრალო ნეიტრალიტეტის შენახვასაც კი.

და ეს ასეც მოხდა. რუსეთთან კავშირის წინააღმდეგ ნ. რამიშვილმა ავანტიურისტული მოქმედების მთელი რიგი იმით დააგვირგვინა, რომ მთიელთა რესპუბლიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასახმარებლად ჯარი გაუგზავნა გენერალი კერესელიძის სარდლობით.

.მალე ეს ჯარი,—რომელიც როგორც გვახსოვს 400 ხიშტიდან შესდგებოდა,—იარაღ აყრილი დაბრუნდა უკან. ეს უდიდესი „კონფუზი“ იყო დემოკრატიული მთავრობისთვის. მაგრამ კიდევ უარესი იყო ამ ჯარის თფილისში დაბრუნების შემდეგ. შიშველ-ტიტველი, მშიერ მწყურვალი ჯარის-კაცები ასობით ეყარენ მთელი კვირაობით სამხედრო სამინისტროს კარებთან. იხვეწებოდენ: მოგვეცით სახლში დაბრუნების საშუალებაო.—მაგრამ მთავრობა უარს ამბობდა მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, რადგანაც ეს მოასწავებდა ამ ჯარის-კაცების, და მაშასადამე კერესელიძის ჯარის, ოფიციალურად ცნობას, ეს მოასწავებდა საქვეყნოდ გამოტეხას იმაში, რომ მთავრობამ საბჭოთა რუსეთს, რომელსაც გუშინ საზაო პირობები დაუდო დღეს უღალატა და მის მტერს იარაღით დახმარება აღმოუჩინა. საჭირო იყო ამ აქტის, როგორმე მიმალვა, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალა. მოსკოვმა ეს ჩინებლად იცოდა... ეს იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აავსო მოსკოვის მოთმინების ფიალა.

დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გასაბჭოება ამ გარემოებამ თუ არ გამოიწვია, ყოველ შემთხვევაში ერთობ დააჩქარა იგი.—

**ყარიბი.**

# 25 თებერვალი

რუსეთში სოციალისტური რევოლიუციის დაწყების დღე—25—ოქტომბერი,—მხოლოდ 21 წლის 25 თებერვალს იქცა ქართველი მუშათა კლასისათვის სადღესასწაულო დღეთ. ის, რისთვისაც ჩვენი პროლეტარიატი რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში იბრძოდა, ის, რაც მხოლოდ საოცნებო და სანეტარო საგანს შეადგენდა ქართველი ხალხის რამოდენიმე თაობისას, ჩვენთვის ფაქტად იქცა 25—თებერვალს. ამ დღეს ჩვენ მშრომელ მასას და კერძოდ პროლეტარიატს საშუალება მიეცა უშუალოდ შედგომოდა ქვეყნად თავის იდეალის განხორციელებას. და მის მაგივრად, რომ ეს დღე ჩვენ უდიდეს დღეთ მიგვეჩნია, მის მაგივრად, რომ ამ დღისათვის ჩვენ, როგორც პროლეტარიატის ნამდვილ აღდგომის დღისათვის შეგვეხედა. ჩვენ ის დღე სამგლოვიარო დღეთ გამოვაცხადეთ. ჩვენ შევიმოსეთ ძაძებითა და შავი სუდარით და ვიწყეთ ჩვენი ძველი წესწყობილების—ბურჟუაზიული წესის—დამსხვრევის გლოვა. დსაჭირო შეიქნა ჩვენი უთავბოლო და უაზრო ოთხი წლის ბრძოლის აგვისტოს ავანტიურით დაბოლოვება, საჭირო შეიქნა ჩვენი ძმების უამრავი სისხლის დანთხევა,რომ ჩვენ თვალები აგვხელოდა და დაგვენახა ის. რაც ჩვენ ბედკრულ სამშობლოში ჩვენ გარშემო კეთდებოდა.

ჩვენ დავსტიროდით დამოუკიდებლობის „დაკარგვას“, საქართევლოში კი მხოლოდ ეხლა ეყრებოდა ნამდვილი საფუძვლები დამოუკიდებლობას: ახალი ხელისუფლების მთელი ძალღონე მიმართული იყო იქით, რომ ჩვენს ეკონომიურად ზედმიწევნით ჩამორჩენილ სამშობლოში შეგვექნა აუცილებელი პირობები საწარმოო ძალთა განვითარებისათვის; ამისათვის ის 1) ქმნიდა ყოველგვარ წარმოების განვითარების აუცილებელ პირობას—აშენებდა იაფ ფასიან ენერგიის მიმწოდებელ ელსადგურებს: ზაჰესს, აჭარის წყლის და აბაშის ელსადგურებს, 2) ქუთაისში აშენებდა მაუდის ქარხანას და ტფილისში იწყებდა საქსოვ ქარხნის შენებას; 3) აფართოვებდა არსებულ აბრეშუმის ძაფის სართავ ქარხნებს და წამოწყებული ჰქონდა რამოდენიმე ასეთი 39 ახალი ქარხანა; 4) ოზურგეთის რკინის-

გზა უკვე გაიყვანა და ინტესნსიურ მუშაობას აწარმოებდა შავი ზღვის რკინისგზაზე; 5) ქუთაისში აშენებდენ ბარიტის დასაფქვავ ქარხანას და კავთისხევში აპირებდენ ცემენტის ქარხნის აგებას; 6) მოერწყოთ მთელი რიგი ჩვენი უწყლო მინდვრებისა და შესდგომოდენ ფოთის ჭაობების ამოშრობას; 7) გაეფართოვებიათ ტყიბულის მაღაროებში მუშაობა და ფიქრობდენ ტყვარჩელში ქვანახშირის მიწიდან ამოღების დაწყებას და სხვადასხვა. მარქსიზმის ანბანის მცოდნესათვისაც აშკარა იყო, რომ ეს ასჯერ და ათასჯერ მეტს ნიშნავდა ჩვენი ნაციონალური მეს განმტკიცებისათვის, ვინემ განუწყვეტელი ყიყინი და ყვირილი ჩვენს დამოუკიდებლობაზე.

ჩვენ ქვეყანას თავს ვაბეზრებდით ტირილით იმის შესახებ, თუ რა შევიწროვებას განიცდიდა საქართველოში მშობლიური ენა, სინამდვილეში კი ხელისუფლება თავის ბიუჯეტის 50 პროც. მეტს ჩვენი ქართული სკოლის განვითარება—გაუმჯობესებაზე ხარჯავდა. ჩვენ სკოლაში გაბატონებული იყო ქართული ენა; სულ სამი—ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლებას დაებეჭდა იმდენი სახელმძღვანელო და სხვა ლიტერატურული ნაწარმოები ქართულ ენაზე, რამდენიც ქართველს ხალხს არ მოსწრებია მეფისა და მენშევიკების ბატონობის დროს—ორივე ხანა, რომ ერთად ავიღოთ, მეცნიერული ტერმინოლოგია შეექნათ და ჩვენ ჯურღმულიდან გამოსულებს კარგად არც გვესმოდა ჩვენი შვილების ლაპარაკი.

ჩვენ ქვეყანას ვეხვეწებოდით ბურჟუაზიულ წესის აღდგენაზე და ჩვენ სამშობლოში კი ამ დროს იქმნებოდა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის ელემენტები. არასოდეს კოოპერაცია ისე ზედმიწევნით განვითარებული ჩვენში არ ყოფილა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს და არასოდეს კოოპერაცია ამრიგად არ ცდილობდა თავის გავლენის ქვეშ დაეყენებია წვრილი გლეხობის სამეურნეო ცხოვრება, როგორც დღეს. ის, რაც ჩვენ ხალხს ძველ დროს სიზმარშიაც კი არ მოლანდებია—ტრაქტორები და სხვა გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები—დღეს თითქმის ყოველ სოფელში მოიპოვებოდა.

მაშინ, როდესაც თვით ევროპის ყურადღება იქით იყო მიქცეული, რათა იქ ხალხის მეურნეობა ომამდე არსებულ დონემდე მიეყვანათ, ჩვენში იქმნებოდა ახალ-ახალი ღირებულიბანი, რომლებიც ომამდე ჩვენში სრულიადაც არ ყოფილა.

ჩვენ იტალიის მეფესთან, რომის პაპასთან, მილიერანთან მუხლმოდრეკილი ვიდექით და ცრემლებით თვალზე ვითხოვდით ბურჟუაზიულ მთავრობის აღდგენას. ჩვენში კი ამ დროს დამყარებული იყო ნამდვილი მუშური ხელისუფლება. არსად დედამიწის ზურგზე მუშურ საზოგადოებრივ აზრს ისეთი გავლენა არ ჰქონდა ხელისუფლებაზე, როგორც ჩვენში. საშინელება,—პროლეტარიატის დიქტატურა,—დიახ არსებობდა, მაგრამ ის საშინელება იყო არა მუშათა კლასისათვის, არამედ იმათთვის, ვინც მუშათა კლასს ეწინააღმდეგებოდა.

და ბევრი სხვა ასეთი ნათელი შეიქნა ჯურღმულიდან ამოსულ და ნაიცონალისტურ ბურუსიდან განთავისუფლებული მუშათა კლასისათვის. ამავე დროს მუშათა კლასმა გაიხსენა, თუ მათი ხელმძღვანელნი დღეს იქ ავროპაში გადახვეწილნი რას უმზადებდნენ საქართველოს, საითკენ უპირებდენ მისი ბედის მიმართვას. გაიხსენეს მათ ის ხვეწნა-მუდარა, რომლითაც ნოე ჟორდანია—ნოე რამიშვილი მიმართავდენ ევროპის კაპიტალისტებს: ოღონდ ჩვენი ძალა-უფლებ. აღადგინეთ საქართველოში და როგორც გსურდეთ ეპატრონეთ ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრეებს, ყვლიფეთ ჩვენი ხალხი, როგორც ამას თქვენი ინტერესები მოითხოვდესო.

აი, ყოველივე ეს დაინახა ტფილისის, ბათომის და სხვა ჩვენი ქალაქების მუშებმა და საქვეყნოდ არჩიეს თავი დაენებებიათ იმ ხალხისათვის, რომლებიც ფაქტიურად ბურჟუაზიის საქმეს აკეთებდა. მათ ურყევლად და მტკიცედ განაცხადეს, რომ ისინი სტოვებენ მენშევიკური პარტიის რიგებს და მიდიან კომუნისტურ ხელისუფლებასთან, მათთან ლხინში და ჭირში ერთად სავლელად.

ამ დღიდან 25 თებერვალი იქცა სადღესასწაულო დღეთ. ამ დღეს შავი დროშები დასწვეს და მათ მაგივრად ააფრიალეს ძველი მათი ნაცადი წითელი დროშები. დღეს 25 თებერვალი საქართველოს მუშებისათვის ისეთივე დიდი დღეა, როგორც აქამდის 1-ლი მაისი იყო.

კ. სულაქველიძე.

# 25 თებერვალი და დღევანდელი საქართველო

25 თებერვალს შესრულდა ექვსი წელიწადი, რაც საქართველოს გასაბჭოება მოხდა.

ნიკოლოზის ტირანია შესცვალა დემოკრატიულმა მართვა-გამგეობამ, უკანასკნელი კი საბჭოთა ხელისუფლებამ—მუშათა და გლეხის ბატონობამ.

24 თებერვალს, თბილისის გარშემო ზარბაზნების ქუხილი და ტყვიის მფრქვეველთა რაკრაკი, ჯერ კიდევ არ იყო შეწყვ ტილი, როცა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან ერთათ პასუხისმგებელ ხელმძღვანელ ორგანიზაციის წევრემა ქუთაისს მივაშურეთ, შემდეგ—ბათუმისაკენ, იმ იმედით, რომ ჩვენ დაქსაქსულ ძალებს თავს მოუყრიდით და ევროპის ჯარების დახმარებით ისევ თბილისს დავიბრუნებდით. ნატანებში განცხადებაც იქნა გაკრული ნ. რამიშვილის მიერ: ქემალის ჯარები უკვე მოდის ჩვენს დასახმარებლად, საქმე კარგად არისო.

მარა ჩვენი ხელმძღვანელების იმედი არ გამართლდა, დახმარების მაგივრათ ქემალ-ფაშამ ომი გამოგვიცხადა, მან მოინდომა ბათუმის ხელში ჩაგდება, ძველი მიზნების განხორციელება—ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების განაღდება. არა თუ ევროპის ჯარები არ მოგვეშველა, ევროპის წარმომადგენლებმაც თავს უშველეს და დავრჩით განმარტოებული, ყველასაგან მიტოვებული.

საქართველოში წითელ ჯარის შემოსვლას წინ უძღოდა საშინელი ინფორმაცია. ჩვენში ხმებს ავრცელებდენ: მათი შემოსვლა და ყველაფრის განადგურება ერთი იქნებაო. მთელს ჩვენ ქონებასა და სარჩო-საბადებელს რუსეთში გაზიდვენ და ქართველ ხალხს ფიზიკურად გაანადგურებენო... შიშს დიდი თვალები აქვს და ამიტომ ყველა ასე ფიქრობდა.

მთავრობამ თავის ამალით იტალიის გემით ევროპას მიაშურა, ჩვენ კი, წვრილფეხა ხალხი, დავრჩით ხვთის ანაბარათ დატოვებული და ჯარის შემოსვლასთან ერთათ ველოდით აღსასრულს... წითელი ჯარისკაცი წარმოდგენილი გვყავდა სისხლის მსმელ მხეცათ, მძარცველად და ვინ იცის კიდევ რათ.

ჯარის მოახლოვებისას ახალგაზრდა ქალები იხიზნებოდენ მთებში, ავეჯეულება იმალებოდა მიწაში, ტყეში და სხვაგან. შიშის ზარი ქონდა დაცემული მცხოვრებლებს. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ, არ გამართლდა ნოე რამიშვილის ასეთი ინფორმაცია. ჯარის შემოსვლისას სულ სხვა სურათი დავინახეთ. ისინი აღმოჩნდენ სრულიად მშვიდნი და ზედმიწევნით ხალხთ-მოყვარე ადამიანები. ჩვენ მათში დავინახეთ არა მხეცი, არამედ ნამდვილი მეგობარი და ამხანაგი.

წითელი ჯარის შემოსვლისთანავე დამყარდა სრული

წესიერება: არც დაჭერას, არც დახვრეტას ადგილი არ ქონია.

ჯარსა და მცხოვრებ შორის იმავე დღესვე დაიწყო ამხანაგური დამოკიდებულება...

ეხლა მე მინდა მოკლეთ შევეხო: რა ვიყავით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და რა ვართ დღეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენ გვქონდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, მარა სამწუხაროდ ეს იყო არა საქმით, არამედ სიტყვით. სინამდვილეში კი სულ სხვა განაგებდა ჩვენს ბედ-იღბალს. საქართველოს ბატონ-პატრონი იყო არა საქართველოს დამფუძნებელი კრება, არა მისი მთავრობა, არამედ უცხო სახელმწიფოების ელჩები და გენერლები. საფრანგეთის წარმომადგენელმა ბრძანა სასახლიდგან წითელი დროშის მოხსნა და ის მეორე დღესვე იქნა მოყვანილი სისრულეში. უცხო სახელმწიფოების ჯარები თავისუფლათ დათარეშობდენ ბათუმიდგან ბაქომდე და სხვა... აქ იყო არა საქართველოს დემოკრატიის ბატონობა, არამედ უცხოელების პატრონობა...

25 თებერვალს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება— პროლეტარიატის დიქტატურა—მუშათა კლასის ბატონობა.

25 თებერვლის შემდეგ, ეკონომიურათ და ფიზიკურათ გახადგურებულმა საქართველომ შეუდგა კვლავ აღორძინებას.

ამ დღეიდან შესწყდა ყოველგვარი ნაციონალური შუღლი და მტრობა. შესწყდა ყოველგვარი ფრონტები და ომები სომხეთთან, აზერბეიჯანთან, ოსეთთან და სხ ა.

მუშამ და გლეხმა მიჰყო ხელი ნორმალურ ცხოვრებას და თავის გაპარტახებული ოჯახის აშენება დაიწყო.

აღორძინდა საწარმოვო ძალები, მშრომელი ხალხი ჩაება ყოველ დღიურ მუშაობაში, ამუშავდა ქარხანა-ფაბრიკები ქალაქებში, გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობა.

შემოვიდა პური, ფართალი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა.

რაც დღე მიდის თანდათან უმჯობესდება პირობები. მრავლდება ფაბრიკებისა და ქარხნების რიცხვი, უმჯობესდება წარმოება, უმჯობესდება ეკონომიური პირობები.

გადაწყვეტილია და მუშაობაც სწარმოებს შემდეგი ქარხნების ასაშენებლათ: თბილისის მახლობლად ღრმა ღელესთან შენდება მაუდის ქარხანა, რომელიც 2 ნახ. მილიონი ჯდება, ცემენტის ქარხანა კავთის-ხევში, რომელიც 2 ნახ. მილიონი მანეთი ჯდება, რიონის ჰიდროსადგური, რომელიც 12 მილიონი მანეთი ჯდება, ბზიბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, აბრეშუმის სახვევი ქარხნები: ხონში, ოზურგეთში და სხვაგან. რომელსაც ქირდება 1.100,000 მანეთი. კეთდება 5 სახერხი ქარხანა სხვადასხვა ადგილას. თამბაქოს ფაბრიკები და სხვა. ყველა ამ საქმისათვის გაღებულია 5.120,000 მან., გარდა ამისა ქარხანა-ფაბრიკებში შიგნით მოსაწყობათ გადადებულია 1 მილ. მანეთამდ ა... ზაჰესი. რომელიც ამ დღეებში ამუშავდება, ხომ მთელი საქართველოს სიამაყე იქნება.

ქარხანა-ფაბრიკების რიცხვის ზრდასთან ერთათ, იზრდება მუშათა რიცხვიც. 1921 წელს დაქირავებული მუშათა ხელი ითვლებოდა 50,683 კ.. 1923 წ. 76,572 კ., 1925 წ. 121,887 კ., (აქ არ შედის ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრ. მუშ.). ამავე დროს თანდათან იზრდება პროფკავშირების წევრების რიცხვიც. 1925 წელს ითვლებოდა 129,000 წევრი. 1926 წ. 157,000

იზრდება სამუშაო ხელფასიც. 1913 წ დაქირავებულ შრომის პირთა საშუალო ხელფასი 25 მან., 1919 წელს დაეცა 25 პროცენტამდე. 1921 წელს 16 მან., 1922 წ. 20 მან., 1924 წ. 36 მან., 1925 წ. 57 მან., 1926 წ. 65 მანეთი, 21 წლიდან 26 წლამდე ნომინალური მომატება უდრის 400 %. ასე რომ ქარხანა-ზავოდების ამუშავებასთან იზრდება მუშა ხელი, მასთან ერთათ თანდათან იზრდება ხელფასიც.

დიდი წინსვლა ეტყობა სოფლის მ ეურნეობასაც. 1921 წ. ნათესები უდრიდა 479,000 დესეტინას. ეხლა კი 669,000 დეს. უდრის.

ვითარდება ჩაის პლანტაციები, ბამბის, აბრეშუმის საქმე და სხვა. დღითი-დღე მატულობს, როგორც სამეურნეო, ისე საწარმოვო დარგში წინსვლა.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მელიორაციას. ამ ექვსი წლის განმავლობაში სათეს სივრცეს მოემატა 129,500 დეს., აქედგან 15,000 დეს. მორწყული იქნა 1925-26 წელ. ახლო-მომავალში დამთავრდება ელდარის ველზედ 10,000 დეს. მოსარწყავათ. დიღომის მიდამოებში მორწყული იქნება 1,400 დეს. აგრეთვე მიდის მუშაობა ფოთის ჭაობის ამოსაშრობათ და ალაზნის ველის მოსარწყავათ. ეს იქნება 80,000 დეს. და სხვა. მთელი ამ სამუშაოების ღირებულება უდრის 6.275,000 მან.

ასეთივე მიღწევები არის კოოპერატივისა და განათლების დარგებში მუშათა საკითხში, ჯანმრთელობაში, შრომელთა დასასვენებელ სახლების შენებაში, მუშათ მდახლვევის საქმეში, მუშათა საბინაო აღმშენებლობაში და სხვადასხვა... ნაძალადევში შენდება არაჩვეულებრივი კლუბი, რომელმაც უნდა დაიტიოს 3,000 კაცი. მუშაობა უკვე სწარმოე ს და საძირკველი ჩაყრილია...

ყველა ამის შემდეგ ჩვენ სრული უფლება გვაქვს 25 თებერვლის ექვსი წლის თავი ვიდღესასწაულოდ, როგორც ქართველ ხალხის ბედნიერებისა და მისი წინსვლის დღე.

კ. მაჭარაძე.

# საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის თავი

25 თებერვალი შესანიშნავი დღეა საქართველოს ცხოვრებაში. აქედან იწყება ახალი ისტორია, ახალი ხანა, ხანა მშრომელი ხალხის ხელისუფლებისა.

ამ დღემ წითელი ზოლი გაავლო ძველსა და ახალ საქართველოს შორის და ფხიზელის თვალით ჩაახედა ჩვენს ცხოვრებაში საქართველოს მშრომელი ხალხი. 25 თებერვალმა მას ჩააბარა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საჭე და უთხრა:

— აჰა, შეიმოსე ძალა-უფლებით, დღეიდან შენზეა დამოკიდებული თუ როგორ მოიხმარ ამ უდიდეს ნიჭს, როგორ უნარს გამოიჩენ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, როგორ გარდაქმნი ქვეყანას ახალ საფუძველზე, როგორ იბრძოლებ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოთ სოციალიზმის დასამყარებლადო.

ამ დღიდან მართლაც უდიდესი გარდატეხა მოხდა ქართველ მშრომელ მასებში.

რა ასულდგმულებდა 25 თებერვლამდის საქართველოს პროლეტარიატს? განა ის არ იბრძოდა სოციალიზმისთვის., არ ჰქონდა დასახული მიზნად მისი განხორციელება, არ უყვარდა მშრომელი ხალხი, არ უნდოდა ერის თავისუფლება, მშობლიური ენის საშუალებით კულტურული ამაღლება, სწავლა-განვითარება?!

არა, ამას ვერავინ დასწამებს საქართველოს პროლეტარიატს. ვინც კი თვალს გადაავლებს განვლილ ოცდაათი წლის მოძრაობის ისტორიას, ვინც გაიხსენებს ციმბირ-კატორღას, ციხეებს, სადაც ბევრი თავისუფლებისათვის თავდადებული ქართველი მუშა და გლეხი ტანჯვაწამებაში გამოსთხოვებია წუთისოფელს და საფლავში ჩაუტანია იმედი დიადი მომავლისა, ვინც მოიგონებს ყველა ამას, ის ვერ დასწამებს ქართველ მშრომელ ძასებს სოციალიზმის ღალატს.

მაგრამ თუ 25 თებერვლამდე საქართველოს მუშები და გლეხები მტრულად უყურებდენ საბჭოთა წეს-წყობილებას, ამაში დამნაშავე იყვნენ არა მუშები და გლეხები, არამედ ისინი, რომელნიც ამ ხალხს მეთაურობდენ, ზრდიდენ და ყოველთვის ყურში ჩასჩურჩულებდნენ:

— ბოლშევიკებმა დალუპეს რევოლიუცია, სამოქალაქო ომით გაანადგურეს მთელი რუსეთი, ნანგრევებათ აქციეს ყველაფერი, გაამეფეს შიმშილი, სილატაკე, სიტიტვლე, ქვეყანა მიიყვანეს გაველურებამდის და რომ ჩვენც ასეთი უბედურება არ დაგვატყდეს თავზე, უნდა ვიბრძოლოთ ბოლშევიზმის წინააღმდეგო. თუ გვინდა ჩვენ ხალხს შეუნარჩუნოთ ის თავისუფლება, რაც მოგვანიჭა რევოლიუციამ, ბოლშევიკებს უნდა ვებრძოლოთო...

აბა ამის შემდეგ რა გასაკვირი იყო, თუ საქართველოში ბევრ მუშას და გლეხს სჯეროდა თავის აღმზრდელების მოწოდება და ძთელი თავის ძალ-ღონით ებრძოდა კომუნისტურ პარტიასა და მის ხელისუფლებას. ეს იყო მიზეზი, რომ 25 თებერვალს წინ უძღოდა ომი, რამაც გამოიწვია ძმათა სისხლის ღვრა.

მაგრამ, ნათქვამია: „ვარდი უეკლოთ არავის დაკრეფიაო“. ჩვენც ეკლებით დავიჩხვლიტეთ ხელები, მაგრამ სამაგიეროთ ვისწავლეთ ჭკუა და მოვიპოვეთ მუშურგლეხური ხელისუფლება.

საქართველოს მშრომელი ხალხი დამონავებული იყო მეფის რეჟიმის მძიმე უღლით. მას სწყუროდა თავისუფლება, სწყუროდა თავის სამშობლო ენაზე განათლება და დაწინაურება... მას მიაჩეჩეს დემოკრატიული წეს-წყობილება და ისიც იბრძოდა ამ წეს-წყობილების დასაცავად...

სწორედ ამის მიზეზი იყო ამ ექვსი წლის წინად დემოკრატიზმის დროშის ქვეშ ბრძოლა, რომელმაც ძმას ძმის სისხლი დაალვრევინა.

მადლობა რევოლიუციას! მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო!..

დადგა 25 თებერვალი, რომელმაც მშრომელ საქართველოს მიანიჭა საბჭოთა ხელისუფლება.

ექვსი წელიწადი გავიდა იმ დღიდან. ამ დროის განმავლობაში ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ასეთ მცირე წერილში შეუძლებელია...

დღეს საქართველოს მშრომელ ხალხს მართებს ანგარიში გაუწიოს გასაბჭოების წინა და მის შემდეგ პერიოდებს, გაითვალისწინოს ის დიდი მიღწევები, რაც დღესა გვაქვს და შეუდგეს იმ თავისუფლების განმტკიცებას, რომელიც აღმოცენდა 25 თებერვლის ნიადაგზე.

**პეტრე ახალკაცი.**

# მოსალოდნელ ავანტიურის გამო

პარიჟში „ამიერ-კავკასიის განმანთავისუფლებელი კომიტეტი“ შემდგარა. ერთ მისწრაფებაში „გაერთიანებულან“ ყოფილი დიდი კაცები და ევროპის დიდ-დიდ ბურჟუების დასამუშავებლად ფრანგულ ენაზე „პრომეთეს“ გამოცემას შესდგომიან. მოუშველებიათ ყოველნი სულნი, ვინც კი საბჭოთა კავშირის არსებობით ვერ არიან გუნებაზე და ეფიცებიან ყოველი ჯურის რეაქციონერებს, რომ ამიერ-კავკასიაში დიდი სიმდიდრეა, რომ ამ სიმდიდრისათვის ღირს იარაღის აღება, ამიერ-კავკასიაში შეჭრა და იქ ყოფილ მთავრობათა ტახტზე დასმა.

თავის მხრით, როგორც სჩანს, „გაერთიანებულნი მებრძოლნი“ არ დაზოგავენ ცდასა და მეცადინეობას, რომ ამიერ-კავკასიაში „დაანთონ ცეცხლი აჯანყებისა“. ამგვარი ცეცხლის დანთება მათ მიზანშეწონილათ და დროულათ მიაჩნიათ იმ ჟამს, როცა საბჭოთა კავშირს ეწვევა გარეშე გართულებანი, რისთვისაც ისინი მოწოდებულნი არიან ილვაწონ და ღვარონ ოფლი.

ერთი სიტყვით, გაერთიანებული ძჩანი ინტერვენციისაკენ მოუწოდებენ თავის ძმებს, ევროპის ბურჟუებს, და თავის „წვლილსაც“ პირდებიან მათ ამ „სასახლო და საშვილიშვილო“ საქმები.

— გამოგვიყენეთ და დაგვიხმარეთ ჩვენი ქვეყნის თქვენ მიერ დაპყრობაში; გამოგვიყენეთ ჩვენი ხალხის სისხლის გაღების საქმეშიო.

ასე ემუდარებოდენ ერთ დროს ლიუდოვიკ მეთექვსმეტეს შთამომავალნი ევროპის რეაქციონერებს საფრანგეთის ხალხის ამოსაჟლეტათ.

ასე ემუქრებოდა 1905 წელში ნიკოლოზ მეორე „თავის ხალხს“ ვილჰელმ ძეორის ხიშტებით

ეს ასე ყოფილა და ასე იქნება ყოველთვის. რევოლიუციის მიერ განდევნილი ყოფილი მბრძანებლები ყოველთვის ცდილან აღედგინათ თავისი ბრძანებლობა „სამშობლოსა და თავისუფლების“ სახელით უცხო ქვეყნების რეაქციონერთა ძალებით. ისინი ყოველთვის ყოფილან რეაქციის აგენტები.

დიახ, ეს ასეა. ისტორიის ფურცლები სავსეა ამის დამამტკიცებელ მაგალითებით.

მარა აქ ერთი რამაა საკითხავი:

ეს ხომ ასეა, მარა სოციალისტობა სადღაა?

აკი საქართველოს ყოფილი მთავრობის ბურჯნი დღესაც ეფიცებიან ევროპის მუშებს, რომ სწორედ ისინი არიან წმინდა წყლის სოციალისტები და სხვა ყველა ქვით მათთან ამ საქმეში!

განა სოციალისტია ის, ვინც შეხმატკბილებულათ თანამშრომლობს მილიერან-პუანკარეს ზრახვებთან?!.

განა სოციალისტია ის, ვინც ბოლშევიკების ჯინზე სიხარულით ცერემბე ცმუკავს, თუ რომ ჩან-ცზოლინი და ჩემბერლენი ჩინეთის განმანთავისუფლებელ კა-

ნტონის მთავრობას და მთელ ჩინეთის ხალხს გულში ლახვარს ჩასცემენ?!.

განა სოციალისტია ის, ვინც მუხლ-მოდრეკით ევედრება ომიანობის ღმერთს ჩააგონოს ჩემბერლენ-პუანკარეს საბჭოთა კავშირის მუშებზე და გლეხებზე გალაშქრება?!.

მარა ეს სხვათა შორის. ჩემი წერილის საგანი სხვაა. მე მინდა აქ პრაქტიკული თვალსაზრისით მივუდგე საქართველოს ყოფილი მთავრობის პრაქტიკულ საქმიანობას.

მისმა ერთმა „პრაქტიკულ საქმიანობამ" თუ რა საშინელება მიუძღვნა ქართველ ხალხს, ეს ხომ ყველამ ვიცით.

ახლა იგივე ყოფილი მთავრობა წელებზე ფეხს იდგამს, დღითა და ღამით „მუშაობს", რომ იგივე საშინელება დაატეხოს პარიჟიდან თავზე „მის საყვარელ ხალხს", მარა ცოტაოდენი ცვლილებით:

ახლა ეს უნდა მოხდეს „ძმებ" მუსავატელების, მთიელ იმამების და საქართველოს თანამშრომლობით, ე. ი. განმეორდეს აგვისტოს საშინელებანი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მთიულეთში და აზერბეიჯანშიც, უფრო ფართე მაშტაბით, რათა უფრო ფართედ და ბლომათ იდინოს სისხლმა.

კარგი და პატიოსანი! მარა როდის იყვნენ სულის მეგობრებათ ურთიერთშორის ეს პატივცემულნი გვამნი?!.

გაჭირვებამ ხანდახან იცის მტრების დამეგობრება. მარა ეს მხოლოდ გაჭირვების ჟამს, როცა მთელი ექვსი წელი ჩხირკედელაობ, ყველა ჯურის რეაქციონერს ფეხქვეშ უვარდები და პირში ჰკოცნი. მარა როცა დგება ჟამი „დალხინებისა", ასეთი მეგობრები ხომ მყის ეძგერებიან ერთმანეთს ყელის გამოსაღადრავათ.

ნოე რამიშვილი —ამატი—ხოსროვ-სულთანოვი...

ესენი, რა თქმა უნდა, ამჟამათ ყველა სულიერი მეგობრებია ერთმანეთისა, ვინაიდან ყველა მტრებია საბჭოთა კავშირისა.

ახლა დააუშვათ ერთი წუთით, რომ მოხდა სასწაული და ზრახვანი ამ „მეგობრებისა" განხორციელდა ე. ი. „გაბედნიერდა" ამიერ-კავკასია და ყოფილი მთავრობანი დასხდნენ იქნენ თავიანთ ძველ ტახტებზე.

რა ფედერაცია იქნება ეს?

ეს პრაქტიკული საკითხიც ხომ უნდა დაისვას.

ვინ არ იცნობს ხოსროვ-სულთანოვს. ის ხომ განსახიერებაა მუსავატისა. ის ხომ აკაკი ჩხენკელის კარგად ნაცნობი და პირში გამოცდილი „მეგობარია" ერთი პრაქტიკული საქმიდან, რომელიც ტრაპიზონში მოხდა. ეს პრაქტიკული საქმე კი ის იყო, რომ ამიერ-კავკასიის ნეტარხსენებული სეიმი თავის დელეგაციის საშუალებით ოსმალეთს ზავს ემუდარებოდა.

იქ მთელი მუსავატი სულთანოვისა და რასულ-ზადეს საშუალებით ოსმალეთს ევედრებოდა:

„არ შეცდეთ, არ მოტყუვდეთ! ბათომი და ახალციხის მხარე აუცილებლათ ჩამოსჭერით საქართველოს, ალექსანდროპოლი წაართვით სომხებს. შემდეგ დასავლეთიდან თქვენ მოაწევით ამ გიაურებს, აღმოსავლეთიდან ჩვენ და მთიულეთი მივაწვებით და ამნაირათ მთელი ამიერ-კავკასია ჩვენი საყვარელ სულთანის ქვეშევრდომი გახდებაო"...

ვის არ ახსოვს, რომ ამის შემდეგ ხოსროვ-სულთანოვი ოსმალეთის აფიცრის ტემლაკებით დემონსტრატიულათ დასეირნობდა თფილისის ქუჩებზე.

ასეთია მუსავატი.

როგორია დაშნაკი?

ის ემუდარებოდა იმავე ოსმალეთს ტრაპიზონში:

„ბატონებო, ბრწყინვალე სულთანის წარმომადგენლებო! ბათომზე ვინ გედავებათ! მიირთვით, თქვენი ჭირიმე!. ოღონდ ჩვენ ხანდახან მცირეოდენ საქონლისათვის გზა მოგვეცით... სულ მცირეოდენისათვის... წელიწადში რალაც ერთ ნავ საქონელს გავგზავნით, მეტს არა. ოღონდ ალექსანდროპოლს ნუ წაგვართმევთ. ბათომი უფალმა ღმერთმა შეგარგოთ".

აკაკი ჩხენკელი რაღას ამბობდა?

„მიირთვით ალექსანდროპოლი, ბათომი კი დაგვიტოვე. სამაგიეროთ აჭარის და ახალციხის მეჩეთებში მოლები ყოველთვის მოიხსენიებენ მისი უდიდებულესობის, ბრწყინვალე სულთანის წმინდა სახელსო".

ასეთი იყო „გაერთიანებული" დელეგაციის ძმობა და მეგობრობა ტრაპიზონში.

ირაკლი წერეთელმა სეიმის გარდაცვალების დღეს ამას უწოდა: ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერესების სხვადასხვაობა და ამით დაასაბუთა სეიმის საუკუნო განსვენება!

რა თქმა უნდა, ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერესები აქ არაფერ შუაში იყო. აქ შუაში იყო სწორეთ გაბატონებულ შოვინისტების საკუთარი ინტერესები.

განა გამოიცვალა მას შემდეგ ეს ხალხი?

შეიძლება იწამოთ ამ მოკლე ხანში მთვარის დედამიწაზე დახეთქება, ხოლო ამ ხალხის სხვა გვარ ადამიანებათ გადაკეთებას ვერავინ იწამებს.

ჰო და რა იქნება სულთანოვ—ბაბატ—ხატისოვ-რამიშვილის ფედერაცია?

ეს იქნება მუდმივი ომი, ომი და კიდევ ომი...

ასეთი იქნება პრაქტიკული დასკვნა მათი პრაქტიკულ საქმიანობისა. ასეთი იქნება მათი ძმობა, მეგობრობა და ერთობა!..

მარა ვინ დააცლის ამ ხალხს მთავრობიას თამაშობას. შეიძლება მცირე ხანი ათამაშონ, ერთმანეთისათვის სისხლი გამოაშვებინონ.

შემდეგ?

რაკი არ იქნება საბჭოთა კავშირი, არ იქნება დამოუკიდებლობა არც საქართველოსი, არც აზერბეიჯანისა, არც სომხეთის და მთიულეთისა, არც უკრაინის.

იქნება მხოლოდ ვაკხანალია ნიკოლოზის გენერლებისა.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა გავიგოთ, უნდა შევიგნოთ, რომ საქართველო ან უნდა იყოს საბჭოთა კავშირის წევრად, ან და ის იქნება რუსეთის ყოფილ გენერლების საჯიჯნგი ქვეყანა.

ევროპის ბურჟუაზია ყოველთვის ვაჭრობდა წვრილერთა ინტერესებით და სანამ იბოგინებს მისი ბატონობა, ეს მუდამ ასე იქნება. მისი დაპირება, ფიცი და მტკიცე არის და იქნება მხოლოდ და მხოლოდ იუდას ამბორი.

ვისაც ეს არ ესმის, მას არაფერი ესმის დღევანდელ ვითარებისა. ვინც ევროპის ბურჟუაზიას ეყრდნობა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში, ვისაც სწამს მისი სიმღერა, ის ან თვით არის ყმა, მონა, აგენტი ამ ბურჟუაზიისა, ან გიჟია, ან განაწყენები ავანტიურისტია,

რაც იგივე სიგიჟეა. და ასეთს ხალხს არა თუ ერის ბედი, ორი ბატის ბედიც არ მიენდობა.

რა თქმა უნდა ყოველ პიროვნებას აქვს უფლება იყოს თავისი რწმენის, სწამდეს მოჩვენებანი და ეომოს ქარის წისქვილებს, აქვს უფლება გინდ პარიჟის ქუჩებში იხეტიალოს, წყალში გადავარდეს.

მარა მას არა აქვს უფლება ერის სახელით ილაპარაკოს და თავისი ერისათვის ყოველ ჟამს და ყოველ წუთს ლესოს და ლესოს დასასკლავი დანა.

ვინ მიანდო ყოფილ მთავრობას ილაპარაკოს საქართველოს ხალხის სახელით და აწყოს ბურჟუაზიულ მთავრობების დერეფნებში საქართველოს ხალხის გამანადგირებელი საქმენი?!.

რათ არ კმარობენ აგვისტოს ამბებს?!. ამჟამად 1921—22 წლები ხომ არ არის. არ არის დასაფარავი, რომ ჩვენში იყო მაშინ უკმაყოფილება. ყოფილ მთავრობას შეეძლო მაშინ ამ უკმაყოფილებას დაყრდნობოდა.

მარა მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, ხალხი ჩაება აღმშენებლობით მუშაობაში და ის თავის თვალით ხედავს, თავის ყურით ისმენს თუ ვინ იღწვის მისი ინტერესებისათვის.

რასაკვირველია, აქ იმ „ხალხზე“ არაა ლაპარაკი, ვისაც რევოლიუციის სუსხი სწვდა, ვისაც სახლები და მამულები ჩამოერთვა, ვინც წარჩინებულ წოდებას გამოამშვიდობეს, ვინც „ღვთის მმოსავათ“ დარჩა, მარა საკურთხსა და დრამის ფულს ველარ იღებს.

მე სახეში მაქვს ერის უდიდესი უმრავლესობა, ნამდვილი ხალხი, მუშები და გლეხები.

ვერც ერთი სხვა მთავრობა ვერ გააკეთებდა იმის მეხუთედსაც კი, რაც გაკეთდა ამ მცირე ხნის განმავლობაში სწორედ ამ მუშებისა და გლეხებისათვის.

და თუ მოგვასვენებენ პარიჟელები, თუ კვლავ არ მოგვიწყობენ თავისი პუანკარე-მილიერან—ჩემბერლენპილსუდსკებით აგვისტოსებურ სისხლიან საქმეებს, კიდევ უფრო მეტი გაკეთდება.

ჩვენი ეროვნული ინტერესები სავსებით დაცულია საკავშირო კონსტიტუციით. თუ რაიმე ნაკლი აშ მხრით კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებათა ზოგიერთ რამებბის ჯერ კიდევ სავსებით ვერ შესრულებულია, ეს ნაკლიც გამოსწორდება.

განაწყენმმა ემიგრანტებმა კი უნდა იკმარონ ჩვენი ხალხის მიერ დაღვრილი სისხლი და ცრემლი. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი როლი დასრულდა. დღეს ისინი თავისი პუანკარეებით ჩვენი ხალხისათვის არა მხოლოდ მეტ ბარგათ, არამედ გამაწამებლათ იქცენ.

მათში ვისაც კიდევ შერჩენია გულის კუნჭულში ცრუ-თავმოყვარეობის დაძლევის ნასახი, უნდა აღიაროს, რომ მოსტყუვდა, შეცდა... შეუცდომელი არავინაა. რუსეთის რევოლიუციამ არა მხოლოდ ჩვენს ემიგრანტებს, შედარებით პატარა კაცებს, დაუბნია გზა და კვალი, არამედ დიდ საქვეყნო ბუმბერაზებსაც, რომელთა წინასწარმეტყველებით საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ 7—8 წლის წინათ უნდა აღგვილიყო დედამიწის ზურგისაგან, მარა ის არა თუ აღიგავა. არამედ დღითი-დღე ვითარდება და ძლიერდება. ამას ხომ ახლა ვერავინ ვერ უარყოფს.

ჰო და, არ უნდა შერცხვეს შეცდომის აღიარება იმის, ვისაც მართლა გული ეწვის ხალხის, სამშობლოს ინტერესებისათვის და არა მხოლოდ თავის პირადი ჟინიანობისათვის, პირად თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის, იმისათვის, რომ „რაკი ერთხელ ვთქვი: არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, რაკი ერთხელ ვთქვი, რომ ჩვენ უნდა გვიხსნას ევროპის ბურჟუაზიამ, ეს უნდა ვიმეორო პითიასავით ყოველ წუთს და ყოველ ჟამს, მიუხედავათ სინამდვილის“...

ვინც ასეთი „თავმოყვარეობით“ არაა უიმედო ავათ, ვისაც კიდევ შერჩენია გულწრფელობა და უნარი სინამდვილისათვის თვალის გასწორებისა, ის უნდა დაუბრუნდეს თავის სამშობლოს და შეძლებისდაგვარად ღაეხმაროს მის აღმშენებლობას, მისი კულტურულად აყვავების საქმეს.

ვისაც ეს არ ძალუძს, და, ბრძანდებოდეს პუანკარეჩემბერლენ-პილსუდსკისთან. ეს მისი საქმეა. ხოლო საქართველო კი მოასვენოს.

ქ. გოგოლაძე.

# საბჭოთა საქართველოს მიღწევები

სახელმწიფო გამომცემლობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ექვსი წლის თავზე საინტერესოა თვალი გადავავლოთ თუ რა გაკეთდა განვლილ პერიოდში ქართულ ბეჭდვითი სიტყვის საქმეში და რა პერსპექტივები აქვს მას. წინასწარ შეიძლება ითქვას რომ ქართული წიგნის ისტორიკოსი უეჭველად ყურადღებით შეჩერდება განვლილ ექვს წელზე, როგორც ქართული ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების გაფურჩქვნის, მომწიფებისა და აყვავების ხანაზე.

ამ დიდი კულტურულ ფრონტზე სახელმწიფო გამომცემლობა პირველსა და ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ქართული წიგნის საქმე მან, შეიძლება ითქვას, უკვე მტკიცე ნიადაგზე დააყენა. სახელგამის ირგვლივ თავს იყრიან როგორც პედაგოგიური, ისე მხატვრული ლიტერატურის ძალები, ვინაიდან სახელგამი ერთად-ერთი უდიდესი ორგანიზაციაა, რომლის გამომცემლობასაც უნივერსალური, ენციკლოპედიური ხასიათი აქვს.

ამას აშკარად მოწმობს მისი პროდუქცია, რაზედაც ლაპარაკი ქვემოდ გვექნება.

ცნობილია, რომ რევოლიუციამდე ქართული წიგნის გამოცემას უმეტეს წილად საქველთოქმედო ხასიათი ჰქონდა. ავტორი ბედნიერი იყო მარტო იმ გარემოებით, თუ თავის ნაწარმოების დაბეჭდვას ეღირსებოდა. ჰონორარი თითქმის უცნობი რამ იყო ჩვენს ლიტერატურაში. ახლა კი, არის თვეები (1926 წლის ოქტომბერ—დეკემბერი), როდესაც სახელგამის მიერ გაცემულია ჰონორარის სახით დაახლოებით 25—30 ათასი მანეთი. ქართული წიგნი დღეს უკვეე მასიურია. იგი შეიჭრა ისეთ ფენებში, სადაც წიგნი წინად ძალიან იშვიათი სანახავი იყო. თუ ძველად ქართული წიგნის ტირაჟი სამი ათასს ცალს არ აღემატებოდა, ახლა ეს რიცხვი მისთვის მინიმალურია. საგრძნობლად გაუმჯობესდა მწერალთა მდგომარებაც და ისინი ახლა უკვე ახერხებენ თავისი ნაწერების

ჰონორარით ცხოვრებას, რაც წინად თითქმის გაუგონარი იყო.

ქართული გამომცემლობის წარმატება ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ ერთმანეთს შევადარებთ მეფის დროის, მენშევიკების პერიოდისა და საბჭოთა ხელისუფლების ხანის პროდუქციას. საილუსტრაციოდ ავიღოთ 1915, 120 და 1925 წლები. ცნობებს ამოვიღებთ წიგნთა პალატის მიერ (სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დაწესებულება მენშევიკების ხანამ არ იცოდა) შედგენილი „წიგნის მატიანედან“, სადაც თავმოყრილია ზედმიწევნითი ცნობები გამომცემლობათა შესახებ. შედარება აქ მხოლოდ სახელწოდებათა რიცხვის მხრით იქნება, ვინაიდან ტირაჟის თაობაზე სათანადო ცნობები არ მოიპოება. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მეფის დროს გამოცემათა დიდს უმრავლესობას უბრალო წიგნაკები, ბროშიურები წარმოადგენს და სქელტანიანი წიგნები ფრიად იშვიათი მოვლენაა. იგივე ითქმის ტირაჟის შესახებაც, რაც ზემოდაც აღვნიშნეთ. თუ წინად მაქსიმალური ტირაჟი სამი ათასს უდრიდა, ახლანდელი საშუალო ტირაჟი—უკვე ხუთი ათასია (არის ასიათასიანი ტირაჟის მქონე წიგნებიც).

შევადაროთ ახლა ზემოხსენებული სამი წლის პროდუქცია:

გამოიცა:

| | 1915 წ. | 1920 წ. | 1925 წ. |
|---|---|---|---|
| სამეცნიერ წიგნაკები . | 22 | 29 | 35 |
| პოლიტ. და სააგ. . . | 9 | 35 | 76 |
| სასწ. პედაგ. . . . . | 29 | 81 | 112 |
| სამეცნ. პოპ. . . . . | 72 | 17 | 185 |
| კაზმული მწერლობა . | 46 | 64 | 60 |
| სა[illegible]ო . . . . . . | 2 | 9 | 34 |

[illegible]და ჟურნალებისა)

როგორც ჰხედავთ, აქ ზრდა აშკარა და უეჭველია. აღსანიშნავია, რომ იმავე 1925 წლის საერთო პროდუქცია, რომელშიაც შედის სხვა და სხვა უწყებების გამოცემანიც, ასეთია:

სახელწოდება . . . . . . . . . . 650
ტირაჟი . . . . . . . . . 2.435.390 ცალი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს წიგნის პროდუქციის უმთავრესი ორგანო, ცხადია, სახელმწიფო გამომცემლობაა. განსაკუთრებით ეს ითქმის მას შემდეგ, რაც მას სახელმძღვანელოების მონოპოლია მიეკუთვნა (1925 წლის აგვისტოდან). გასული წლების განმავლობაში სახელგამის პროდუქციას თანდათანი ზრდა ეტყობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1924 წელს და 1925 დამდეგს, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო სახელმძღვანელოები ცოტა გამოიცა.

ეს ზრდა შემდეგნაირია;

გამოიცა:

| | სახელწოდება | ტირაჟი | |
|---|---|---|---|
| 1921 წელს . . . . . | 23 | 101.570 | ცალი |
| 1922 „ . . . . . . | 52 | 218.000 | „ |
| 1923 „ . . . . . . | 133 | 628.000 | „ |
| 1924 „ . . . . . . | 97 | 562.000 | „ |
| 1925 „ . . . . . . | 75 | 570.000 | „ |
| 1926 „ . . . . . . | 193 | 889.000 | „ |

გარდა ამისა 1926 წელსვე გამოცემულია საბავშო ჟურნალები 43 ცალი, ტირაჟით 110.000. საბავშო ჟურნალები შემდეგია: 1) პიონერი, 2) ნაკადული, 3) კარმირ წილერ (სომხ.), 4) კიზილ შეფეკ (თურქ.). 5) წითელი სხივი.

უკანასკნელი (1926) წლის პროდუქცია შემდეგნაირად ნაწილდება:

**სახელმძღვანელოები:**

სახელწოდება . . . . . . . . . 79
ტირაჟი . . . . . . . . . 513.000 ცალი.

**პოლიტიკური ლიტერატურა.**

სახელწოდება . . . . . . . . . . . . . . 30
ტ ი რ ა ჟ ი . . . . . . . . . . . . . . 85.000 ც.

**მხატვრული ლიტერატურა.**

სახელწოდება . . . . . . . . . . . . . . 44
ტ ი რ ა ჟ ი . . . . . . . . . . . . . . 130.000 ც.

**ს ა ბ ა ვ შ ვ ო.**

სახელწოდება . . . . . . . . . . . . . . 28
ტ ი რ ა ჟ ი . . . . . . . . . . . . . . 133.000 ც.

**სხვადასხვა ხასიათისა.**

სახელწოდება . . . . . . . . . . . . . . 10
ტ ი რ ა ჟ ი . . . . . . . . . . . . . . 24.000 ც.

ს უ ლ 193 სახელწოდება და 889.000 ც.

გარდა ზემოხსენებულისა, გამოცემულია 1927 წლის იანვარ-თებერვალში:

სახელწოდება . . . . . . . . . . . . . . 30
ტ ი რ ა ჟ ი . . . . . . . . . . . . . . 69.500 ც.

ამჟამად სტამბაშია: 55 სახელწოდების წიგნი. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული უმაღლეს სასწავლებელთა, კერძოდ უნივერსიტეტის სახელმძღვანელოების გამოცემას. უკვე იბეჭდება 11 სახელწოდების დიდტანიანი წიგნი 14 ტომად. ხუთი წიგნი უკვე იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა. ზემოხსენებული სახელმძღვანელოები საუნივერსიტეტო კურსს წარმოადგენენ და სტუდენტობა წელს ამ მხრით, ასე თუ ისე, დაკმაყოფილებული იქნება.

მიღებულია ზომები აგრეთვე იმისათვის, რომ სათანადოთ მოეწყოს წიგნის გავრცელების საქმე. თვით სახელგამს ტფილისში ხუთი, ხოლო პროვინციაში შვიდი მაღაზია აქვს: გორსა, ქუთაისსა, ბათომსა, ფოთსა, სოხუმსა. ახალსენაკსა და ჭიებალოში. განყოფილებათა გახსნა განზრახულია აგრეთვე ყველა იმ მაზრაში, სადაც წიგნის მაღაზია არ მოიპოება.

ქართული წიგნის გასავრცელებლად საააგენტოები მოწყობილია მოსკოვსა და ლენინგრადში. სახელგამს ჰყავს კონტრ-აგენტები და აგენტები, რომელნიც პროცენტებზე მუშაობენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დღეს ქართული წიგნი უკვე მასებში შედის და მისი გავრცელების საქმე უკვე მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული.

არსებობს შეთანხმება ცეკავშირთან, რომლის ძალითაც ეს უკანასკნელი აწყობს წიგნით ვაჭრობას ყველა თავის ძირითად კოოპერატიულ პუნქტში.

გარდა წიგნებისა და საბავშვო ჟურნალებისა, სახელგამი სცემს შემდეგ ჟურნალებს: „რევოლიუციის მატიანე“, „მნათობი“ და „პროლეტარული მწერლობა“.

გასულ წელს სახელგამმა დაბეჭდა თითქმის ყველა გამოჩენილი თანამედროვე მწერლის ნაწარმოებნი და ზოგიერთი კლასიკოსებიც, რომელთა ბეჭდვას იგი წელსაც განაგრძობს. მიღებულია და იბეჭდება აგრეთვე მთელი სერია (20 წიგნაკი) პოპულიარული სამხედრო

ლიტერატურისა. დიდი ყურადღება ექცეოდა ერთის მხრით წიგნთა გარეგნობის გაუმჯობესობას, მეორე მხრით მათ გაიაფებას. ორთავე ამ დარგში საყურადღებო მიღწევები არის.

გარდა ზემოხსენებულისა, უნდა ითქვას, რომ თითქმის მოთავებულია და სათანადო რედაქციის შემდეგ დაიბეჭდება ისეთი ნაწარმოები, რომელსაც პოლიტიკურად და კულტურულად უკვე მომწიფებული მასები დიდი ხანია მოელიან: ესაა მარქსის „კაპიტალის„ ქართულად გამოცემა. იბეჭდება აგრთვე ი. რუბინის წიგნი „ეკონომიური მოძღვრებათა ისტორია“. გადაწყვეტილია რუსთველის „ვეფხვის ტყაოსნის“ სახალხო და აგრეთვე აკადემიური გამოცემა პროფ. ნ. მარის მონაწილეობით; გამოცემა „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა“, საბა ორბელიანის ლექსიკონისა და სხვ. და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სახელგამის პროდუქცია მიმდინარე წელს როგორც ღირსებით, ისე რაოდენობით გადააჭარბებს იმ მიღწევებს, რაიც მას წინა წლებში ჰქონდა. ამ იმედით ვეგებებით ჩვენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეშვიდე წელს.

**ბ. ბიბინეიშვილი.**

# ახალგზელების კრება

თებერვლის 21 შესდგა ტფილისის ახალგზელთა მრავალრიცხოვანი კრება ნაძალადევის მუშათა კლუბში.

თუმცა კრების მოწვევის ინიციატორთ განზრახული ჰქონდათ ამ კრებისთვის წარედგინათ მოხსენება ახალგზელთა ხელმძღვანელ ორგანოს საქმიანობაზე და მუშაობის მომავალ გეგმაზე, მაგრამ ამ კრებამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო და იმდენად მრავალრიცხოვანი შეიქნა, რომ იგი გასცილდა მისთვის დასახულ პრაქტიკულ ამოცანების ჩარჩოებს და ახალგზელთა ფართო პოლიტიკურ დემონსტრაციათ იქცა.

ამ დემონსტრაციით ტფილისის პროლეტარულ უბანში—ნაძალადევში— ახალგზელებმა კიდევ ერთხელ აუწყეს მტერსაც და მოყვარესაც, რომ ისინი მტკიცედ დგანან ორი წლის წინეთ არჩეულ ახალ გზაზე და მზად არიან მთელის არსებით შეებრძოლონ ყველა მათ, ვინც შიგნიდან თუ გარედან ემუქრება მუშა-გლეხთა საქართველოს პოლიტიკურ სიმტკიცესა და ეკონომიურ-კულტურულ აღმშენებლობას.

თებერვლის 21-ის კრება მისი შემადგენლობით, მსვლელობითა და შედეგებით აშკარად ღაღადებდა მუშათა და მშრომელი ინტელიგენციის მიერ ახალ გზაზე მსვლელობაში მიღწეულ შედეგებზე. ამას პირველყოვლისა გვიჩვენებდა თვით კრების შემადგენლობა. კრებისთვის დათმობილი მუშათა კლუბის სალექციო დარბაზი მეტად პატარა აღმოჩნდა და მან, სამწუხაროდ, მოზღვავებულ ახალგზელთა მხოლოდ მეოთხედი თუ დაიტია.

ძველი მუშები, საქართველოს სოციალისტურ ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელნი, ახალგაზრდობა, აი ვინ იყო წარმოდგენილი ამ კრებაზე და ვინ განაცხადა ამ კრებით თავისი პოლიტიკური ნება-სურვილები.

მრავალრიცხოვანება, დასმულ საკითხების გარკვევაში აქტიური მონაწილეობის მიღება, შექმნილ საშინაო და საგარეო მდგომარეობის ყოველ მხრივად გათვალისწინება და შეფასება, მუშათა და ინტელიგენციის ახალ კადრების დადგომა ახალგზელთა ნიადაგზე,—ყოველივე ეს გვიჩვენა თებერვლის 21-ის კრებამ. ვფიქრობთ, რომ ამ კრებაზე გამომჟღავნებული განწყობილება ახალ გზისადმი კიდევ უფრო მეტ ძალასა და ენერგიას შემატებს იმ ახანაგებს, რომელნიც 1924 წლიდან ხელმძღვანელობენ და მეთაურობენ საქართველოს მშრომელთა ფართო წრეების მსვლელობას ახალ გზაზე.

**სამწუხაროდ ჩვენი ჟურნალის ზომა არ გვაძლევს საშვალებას ფართოდ გადაუშალოთ მკითხველთ კრების მსვლელობის დაწვრილებითი სურათი. დავკმაყოფილდებით მხოლოდ საერთო მიმოხილვით.**

თებერვლის 21-ის კრების დღიური წესრიგი შეიცავდა შემდეგ საკითხებს: 1) საინფორმაციო მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2) ახალგზელთა ხელმძღვანელ ორგანოს მოხსენება შესრულებულ მუშაობაზე და 3) მომავალი მუშაობის გეგმა.

მომხსენებელმა პირველ საკითხზე—ამხ. **ხელაძემ** თავის მოხსენებას წმინდა საინფორმაციო ხასიათი და შინაარსი მისცა. მან ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ მასალებით ნათელყო, რომ ემიგრაცია გაფაციცებით აწარმოებს სამზადისს და მუშაობას ახალ შემოტევისთვის საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. ემიგრაციაში მყოფ მენშევიკთა ლიდერები ცდილობენ თავის ანტი-საბჭოთა პოლიტიკისთვის გამოიყენონ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა და იმპერიალისტურ ქვეყნების შორის ამ ბოლო ხანებში გამწვავებული ურთიერთობა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღეს (საერთაშორისო მდგომარეობის გამო) ემიგრაციას უფრო მეტი საშვალება და მასალა აქვს ახალი ილიუზიები მოახვიოს თავს მისადმი ერთგულად განწყობილ წრეებს, ვიდრე ამის შესაძლებლობა მას ჰქონდა 1924 წლის აჯანყების დროს. ეს ავალებს ახალგზელთ კიდევ უფრო შეამჭიდროვონ თავის რიგები და ეიმგრაციის აქტივობას დაუპირდაპირონ საბჭოთა ხელისუფლებისთვის და კომუნისტურ პარტიისთვის აქტიურად მხარის დაჭერის პოლიტიკა. მომხსენებელმა საკმაოდ ფართო ფაქტიურ მასალით ნათელყო საერთაშორისო ურთიერთობის დღევანდელი სახე, ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან იმპერიალისტურ ქვეყნების მმართველ წრეებისა და მშრომელი მასების მხრივ.

მომხსენებლისთვის მიცემულ შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ 1924 წლიდან მენშევიკ-ლიდერების მიერ „დაღლილად“ გამოცხადებული ახალგზელი ძველი მუშები ისეთივე აქტიურ ინტერესს იჩენს პოლიტიკისადმი, როგორიც მათ წარსულში ახასიათებდა.

საინფორმაციო მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **ძამანაშვილის** მოხსენება ჯერ მუშათა კომისიის და შემდეგში ცეკასთან მოწყობილ ყოფილ მენშევიკთა განყოფილების მიერ შესრულებულ მუშაობაზე. როგორც მუშათა კომისიას და მის რწმუნებულებს ადგილებზე, ისე ყოფ. მენშევიკთა განყოფილებას ცენტრში და სამაზრო პარტიულ კომიტეტებთან არ დაუტოვებიათ (ორიოდე მაზრის გამოკლებით) საქართველოს არც ერთი თემი, რომ არ მიეტანოთ ახალ გზაზე დამდგარ საქართველოს მუშების ახალი სიტყვა. როგორც აქ საქართველო-

ში, ისე ემიგრაციის ფართო წრეებშიაც განვლილ ორი წლის სიგრძეზე ახალი გზა პოულობდა მხარის დამჭერთა ახალ და ახალ კადრებს. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს დაუბრუნდა ემიგრაციიდან და თავის ძველ თანამებრძოლთ გვერდში ამოუდგა მუშა-ემიგრანტთა სამი წყება დღითი-დღე იზრდებოდა აღრიცხვაზე აყვანილ ახალგზელთა რიცხვი. უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად იმატა ახალ გზაზე დამდგარ ინტელიგენტთა რიცხვმაც. ახალგზელთა ამ ფართო მასიურ მოძრაობას მიეწერება საქართველოში ამ ორ უკანასკნელ წელიწადში დამკვიდრებული სამოქალაქო მშვიდობიანობა და კომუნისტურ პარტიის რიგებში ჩადგომა ძველ მუშათა საგრძნობი ნაწილისა. მუშაობის ასეთი შედეგები ამ რამოდენიმე თვის წინეთ თითქმის ზედმეტად ხდიდენ უკვე ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე ორგანოს არსებობას, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ემიგრაცია ისევ იჩენს აქტივობას, ხოლო მისგან გაბრიყვებული უმნიშვნელო ჯგუფები აქაც, — საქართველოშიც ცდილობენ სოციალისტურ მშენებლობის ნორმალურ მსვლელობის უზრუნველმყოფ მშვიდობიანობის დარღვევას. ამხ. **ძამანაშვილმაც** ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღევანდელი საერთაშორისო პირობები და ემიგრაციის უკანასკნელი ხანის კომბინაციები ავალებს ახალგზელთ კიდევ ერთხელ განაცხადონ თავისი პოლიტიკური მრწამსი და დამოკიდებულება სოციალისტურ სამშობლს ინტერესებისადმი.

ამხ. **ძამანაშვილის** მოხსენებას მოჰყვა ამხ. **ხელაძის** მოხსენება ყოფ. მენშევიკთა შორის მუშაობის მორიგ ამოცანებზე და ორგანიზაციულ ფორმებზე.

სამივე მოხსენების მიერ მოცემულ მასალის გარშემო გაიხსნა საერთო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნასიძემ, კუპრაშვილმა, ძველაიამ, ჩახვაძემ, ნიკოლაიშვილმა, კვიტაშვილმა, გიორგაძემ, ა. წულაძემ და სხვებმა. ვინაიდან კრება მეტად გაგრძელდა, ყველა ჩაწერილი ორატორთ არ მიეცათ საშუალება მიეღოთ მონაწილეობა კამათში. ყველა სიტყვების მთავარი მოტივები იყო შემდეგი: ემიგრაციის პოლიტიკა დამღუპველია, საქართველოს ეროვნული ინტერესები და მისი მშრომელთა მასის სოციალისტური შეგნება გვიკარნახებს წინააღუდგეთ საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების ყოველ ცდას. ახალგზელთა ხაზი პოლიტიკურად გამარჯვებულია. ამ გზაზე შედგომით საქართველოს მშრომელთა მასამ დასაყრდნობი სოციალური ნიადაგი გამოაცალა ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკოსებს და ისინი უჯაროდ დარჩენილ ღენერლებად აქცია. სანამ ახალგზელთა რიგები მტკიცეა, ეს ღენერლები ვერ შესძლებენ საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი ჯგუფის მიმხრობას. მომენტი გვავალებს გავარკვიოთ და ჩამოვაყალიბოთ საქართველოს მშრომელთა შორის შემდეგში ჩასატარებელ პოლიტიკურ მუშაობის ფორმები და მეთოდები. ადგილებზე შემჩნეული გაუგებრობები ახალგზელთა და ხელისუფლების თანამშრომლობის საქმეში უნდა აღმოიფხვრეს. მომენტი ითხოვს სრულიად საქართველოს ახალგზელთა კონფერენციის მოწვევის მიზანშეწონილებას. ეს საშვალებას მოგვცემს გამოვამჟღავნოთ საქართველოს მშრომელთა ფართო წრეების პოლიტიკური სიმპატიები და ღირსეული პასუხი გავსცეთ ქართველი ერისთვის ხიფათის მომგვრელ ემიგრაციის პოლიტიკას.

კამათში აღძრულ საკითხების გამო განმარტებები მისცეს კრებას მომხსენებლებმა ამხ. ძამანაშვილმა და ხელაძემ, რის შემდეგაც კრებამ გამოიტანა დადგენილება ყოფ. მენშევიკთა შორის მუშაობის შესახებ. ამ დადგენილებით კრებამ სავსებით მოიწონა ყოფ. მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობა და აგრეთვე მომავალი საქმიანობის გეგმაც და მოუწოდა მას ასეთივე ნაყოფიერებით განაგრძოს მომავალში საქმიანობა.

კრებამ სურვილი გამოსთქვა უახლოეს დროში მოწვეულ იქნეს ახალგზელთა სრულიად საქართველოს კონფერენცია.

ამ პრაქტიკულ დადგენილებებთან ერთად კრებამ შეიმუშავა და დაამტკიცა საქართველოს მუშათა და გლეხთადმი მიმართვის ტექსტი, რომელსაც ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ვათავსებთ.

კრების დასასრულ ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს სოციალისტურ ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ამხ. ნიკო ელიავამ შემდეგი სიტყვით მიმართა მუშათა კრებას.

## ნიკო ელიავას სიტყვა

**წარმოთქმული პლეხანოვის სახელობის კლუბში ყოფ. მენშევიკთა საქალაქო თათბირზე.**

ამხანაგებო! უპირველესად ყოვლისა უღრმეს მადლობას მოგახსენებ ამხანაგური შეხვედრისათვის. თქვენი ამზომ გულწრფელი და გულღია შეხვედრა გარდა მადლობის გრძნობისა იწვევს იმ აზრს, რომ მე კვლავ ბედნიერი ვარ; ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ არ დამიკარგავს ის ძველი ნდობა, რომელიც ტფილისის პროლეტარიატში მქონდა. ეს გულწრფელი ნდობა ყოველთვის მამხნევებდა და მით უმეტეს მამხნევებს ეხლა, როდესაც სხვა პირობებში შევხვდით პირის პირ ერთმანეთს. თქვენ, ამხანაგებო, საკმაოთ იცით ჩემი პოლიტიკური თავგადასავალი. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მე თქვენ ოჯახს მოვსწყდი „ფიზიკურად“, თუმცა სულიერად მუდამ თქვენთან ვიყავი. როგორც ყველამ უწყით, ემიგრაციიდან დაბრუნებისას მე საკმაო გარკვევით განვაცხადე, თუ რა პოლიტიკური მრწამსით დავუბრუნდი საქართველოს და ამავე დროს პოლიტიკის გარეშე დარჩენის სურვილიც გამოვსთქვი. ამგვარი განცხადება თქვენში, როგორც დავრწმუნდი, უკმაყოფილებას იწვევს, ეს გაუგებრობაა და ვინაიდან ყოველი საზოგადო მოღვაწე ყველაზედ უფრო ასეთი გაუგებრობის შექმნას უნდა ერიდებოდეს, ამიტომ მე მინდა თქვენს წინაშე წარმოვსდგე ჩემი ნამდვილი სახით.

როგორც ჩამოსვლისას, ისე ეხლაც ვფიქრობ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმისაგან თავი შევიკავო, მაგრამ ას სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკურ საქმის კეთებისაგან ხელს ავიღებ. ჩემი სურვილი არის, რომ ყოველი ჩვენთაგანი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, იმ პოლიტიკის ხორცშესხმას წარმოადგენდეს, რომელიც ისტორიის ფართე გზაზედ გამოიყვანს სოციალისტურ აღმშენებლობის ნიადაგზედ შემდგარ საქართველოს. ნურავინ ნუ გაივლებს გულში ეჭვს, რომ ჩვენ რაიმე ფარული მიზნით მივდივართ ხელისუფლებასთან. პირადათ მე მთელის ჩემი შეგნებით მსურს სინდისიერად ვიმუშაო იმ სოციალისტურ აღმშენებლობაში, რომელიც საქართველოში სწარმოებს.

მე მგონია, რომ ამ გზით უფრო მეტ სარგებლობას მოუტან იმ ხალხს, რომლისთვისაც ათეულ წლების გან-

მავლობაში თქვენს რიგებში ვიბრძოდი. ამგვარი მუშაობა რასაკვირველია, არ იქნება ისტორიის სააშკარაოზე გამოტანილი აქტიური ხასიათის პოლიტიკური ბრძოლა, მაგრამ ეს იქნება საქმიანი თანამშრომლობა, რომელიც ესოდენ საჭირო არის ს ქართველოს წინსვლა-განვითარებისათვის. მაგრამ ეს განა ნიშნავს, რომ საჭიროების დროს არ ჩავდგები იმათ რიგებში, რომელთა ბრძოლას ისტორიის სააშკარაოზე გამოტანილ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლის ხასიათი ექნება? რასაკვირველია არა. როდესაც ჩვენი ერის არსებობა და მშვიდობიანობა საფრთხეში ჩავარდება, ამ დროს ჩვენ პოლიტიკაში აქტიურად ჩავებმებით, მას ჩვენ განზედ არ გადაუდგებით და ადვილი შესაძლებელი არის ნ. ელიავა ისეთ პოლიტიკაში გადავარდეს, რომელიც ზოოლოგიურ ზიზღს გამოიწვევს იმათ წრეებში, რომლებიც ამ ხიფათს მოუმზადებენ ჩვენს ერს.

ამნაირად, ამხანაგებო, გამოდის რომ მე არსებითად პოლიტიკის გარეშე კი არ ვდგები, არამედ მხოლოდ ხელს ვიღებ ყოველ დღიურ აქტიურ პოლიტიკური მუშაობისაგან.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ასეთი პრაქტიკული ნაბიჯი არ ეწინააღდეგება ტფილისის პროლეტარიატის ნება-სურვილებს, რომელთანაც 25 წლის განმავლობაში ვიყავი. მე თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ტფილისის პროლეტარიატის ნება-სურვილი, ჩემი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის განმსაზღვრელი კანონი იყო. მე ეხლაც მინდა თქვენს ნებას დავემორჩილო და თქვენთან ვიყო.

ამ მიზნით კი მე თქვენს წინაშე მიხდება ანგარიშის მოცემა იმის შესახებ, თუ რა პრაქტიკული თვალსაზრისით ვხელმძღვანელობ ეხლა, როდესაც ძველ ოჯახს დაუბრუნდი და ახალი საქმის კეთებაში ვებმები.

**მე ვარ ქართველი სოციალისტი** და როგორც ასეთი **დავბრუნდი საბჭოთა საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით და საბჭოთა მოქალაქეობის უფლების აღდგენით.** ხაზგასმული სიტყვები აშკარად ყოფენ, როგორც ჩემი დაბრუნების აზრს, ისე ჩემი მომავალი მოღვაწეობის ხაზსაც.

მე როგორც სოციალისტი ვფიქრობ, რომ როდესაც ჩვენს ქვეყანას განაგებს სოციალისტური მთავრობა, რომელიც აქტიურად შესდგომია სოციალიზმის აღმშენებლობას, მეც გვერდში უნდა ამოვუდგე მას ამ მუშაობაში და თანამშრომლობა გავსწიო მასთან.

**როგორც ქართველი** ვფიქრობ, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა დღესაც ვერ გასცილებია იმ ხაზს, რომელიც 130 წლის წინედ აირჩია მან, ე. ი. რუსეთთან მჭიდრო კავშირს და ამიტომ ქართველობა სრულიად გულწრფელად უნდა შეუდგეს თავის ეროვნულ კერის მოწყობას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში. ჩემი დაკვირვება მეუბნება, რომ საქართველოს სხვა გზა არა აქვს და რაიმე გარეშე ძალის ჩარევაზედ ოცნებობა არის მხოლოდ მავნე და ხალხისათვის საზიანო ილიუზია.

აი ეს ორი დებულება არის ჩემი ხელმძღვანელი, და არ მიმაჩნია სამართლიანად იმათი აზრი, ვინც ფიქრობს: რაც უარესი იქნება საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, მით უკეთესია ჩვენთვის, ან მუშათა კლასისათვისო, პირიქით, რაც უფრო მტკიცე და ჩქარი ტემპით განვითარდება საბჭოთა აღმშენებლობა, მით უკეთესი იქნება ჩვენთვისაც ყოველ მხრივ.

ყოველი ახალი ქარხანა, ახალი ფაბრიკა, ახალი კოოპერატივი, ახალი ელექტრო-სადგური, ახალი არხი, ახალი გზები, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია და სხვა ასეთები ჩვენ გვიახლოებენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო უახლოვდებით ამ მიზანს, როცა ინდუსტრიალიზაციას, ე. ი. ქვეყნის მატერიალური კულტურის წინსვლას, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლება, რომლის სრულ განკარგულებაშია მიწა და მიწის გული, ტყე და წყლის ძალა, მთელი მსხვილი მრეწველობა და ვაჭრობის უძლიერესი აპარატი.

მატერიალური კულტურის ზრდას კი თან დაყვება ერის სულიერი კულტურის ზრდა-განვითარებაც, რასაც, თავისთავად იგულისხმება ხელს შეუწყობს და მფარველობას გაუწევს იგივე ხელისუფლება. ეს მისთვის სასურველიც არის და სასარგებლოც.

ასე უყურებ საკითხს მე, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე; ასე უყურებ საკითხს მე, როგორც თქვენი საერთო ოჯახის წევრი. (მქუხარე ტაში).

# მოწოდება

## საქართველოს მუშებისა და გლეხებისადი

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც საქართველოს გადახდა უდიდესი ტრაღედია, ჩვენ ყველას თვალწინ გვიდგას ის საშინელება, რომელიც მშრომელ საქართველოს წინაშე იდგა 1924 წლის აგვისტოში, ჩვენ უშუალოდ განვიცადეთ. აგვისტოს ავანტიურამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შექმნა უნდობლობის ატმოსფერა. ხელისუფლებასა და აჯანყების თუნდაც პასიურ თანამგრძნობთა შორის, საჭირო იყო ამ დროს საერთო ენის გამონახვა, საჭირო იყო ორივე მხარეს მორიგება და გაუგებრობის გაფანტვა. აი ასეთი როლი ვიკისრეთ ჩვენ, თბილისის ძველმა ს.-დ. პარტიის რიგებში დიდი სტაჟის მქონე მუშებმა.

ხმა ავიმაღლეთ საქ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის შემცდარ პოლიტიკის წინააღმდეგ, ავირჩიეთ **„მუშათა კომისია“** და გადამჭრელი ზომები მივიღეთ აგვისტოს დღეების შედეგების ლიკვიდაციისათვის. ჩვენ გადაჭრით ვიბრუნეთ პირი ძველი — დამღუპველი გზიდან და კომუნისტურ პარტიაში მყოფ მშრომელებთან მისვლით გავკაფეთ ის ახალი გზა, რომელიც იხსნის ჩვენ ხალხს ფიზიკურ განადგურებისაგან.

ჩვენმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო, საქართვ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის რიგები დაიშალა და ყველა ის, ვინც ამ პარტიის მშრომელ ელემენტს წარმოადგენდა, ჩვენს გზას გამოყვა. ყოფილ მენშევიკ მუშათა და მშრომელ გლეხთა მასები ჩვენ მიერ დაწყებულ მოძრაობაში ჩაბმით, დაირაზმენ მთლიანი ფრონტით იმათ წინააღმდეგ, ვინც კვლავ შეეცდებოდა იმ მშვიდობიანობის შერყევას, რომელიც საქართველოში დამყარდა. ეს მშრო-

მელი მასა აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობით მუშაობაში და თანდათან ამტკიცებს უკვე განმტკიცებულ მშვიდობიანობას და თავისუფლებას.

ჩვენ საკმაოთ შევეჩვიეთ ამ უკვე არსებულ მშვიდობიანობას და ერთი წუთითაც არ მოველოდით ისეთ ცდას, რომელიც მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

ჩვენ დასრულებულად ვთვლიდით ჩვენს მისიას, ჩვენ შესრულებულად მიგვაჩნდა ჩვენი მოვალეობა მშრომელ საქართველოს წინაშე, თბილისის პროლეტარიატს იმედი ჰქონდა, რომ კვლავ არ განმეორდებოდა საქართველოში აგვისტოს მაგალითი, მაგრამ ჩვენ მოვსტყუვდით. როგორც სჩანს, ჩვენ კიდევ ბევრი საქმე დაგვრჩენია გასაკეთებელი და ამიტომ კვლავ გვიხდება ხმა ავიმაღლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ასვენებს საქართველოს და კვლავ ეპირება უმაგალითო სისხლის ღვრის გასმეორებას. ჩვენამდე მოაღწია საკმაოთ გასინჯულმა ცნობებმა, რომ საზღვარგარეთ გახიზნული ქართული ემიგრაცია საქართველოს ბედს უკავშირებს იმპერიალისტური ევროპისა და და საბჭოთა კავშირს შორის გართულებას. ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენი ყოფილი ამხანაგები ფარ-ხმალს ისხამენ და საომრად ემზადებიან. ამით ისინი საფრთხეში აგდებენ საქართველოში უკვე მიღწეულ ნორმალურ განვითარების პირობებს და საშინელ კატასტროფას უმზადებენ ქართველ ხალხს.

ჩვენ ერთხელ კიდევ მოუწოდებთ ახალ გზელ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც წინეთ მენშევიკურ პარტიაში ირიცხებოდენ, აღიმაღლონ ხმა ახალ მოსალოდნელ ავანტიურის წინააღმდეგ, ფართეთ გააშუქონ საკითხი ახალ აგვისტოს განმეორების დამღუპველობის შესახებ და ერთხმათ დაირაზმონ იმ მშვიდობიანობის დასაცავად, რომელიც აუცილებელია საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ აყვავებისათვის.

ძირს ავანტიურიზმი!

ძირს ქართული მენშევიზმის დამღუპველი პოლიტიკა!

## ანდრო ჭიაბრიშვილის განცხადება

ჩემამდი აღწევს ხმები, თითქო 24 წ. აგვისტოს ავტორები და მათი მიმდევრები ჩემ სიჩუმეს ასაღებენ, როგორც თავიანთ „საქმიანობის“ დასტურს. ამით ვაცხადებ რომ მათი „საქმიანობა“ მიმაჩნია დამღუპველად საქართველოსათვის და სწორედ ამიტომ 1925 წ. დასაწყისში გავსწყვიტე მათთან ყოველგვარი კავშირი. მე ვდგევარ საბჭოთა კონსტიტუციის ნიადაგზე, ვმუშაობ და მომავალშიც ვიმუშავებ შეძლებისდაგვარად კულტურულ-ეკონომიურ დარგებში.

**ანდრო ჭიაბრიშვილი.**

## უცხოეთის ეკონომიური მიმოხილვა

**1. ჰარიმანი და თუთიას წარმოება. 2. კრიზისი ინგლისის ქვა-ნახშირის წარმოებაში. 3. ბამბა და ტექსტილური წარმოება 1926 წ. 4. გერმანიის საგარეო ვაჭრობა 1926 წ.**

ჩვენში კარგათ ცნობილი ინდუსტრიელი ჰარიმანი, მას შემდეგ, რაც ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანეს თუთიას წარმოების „აკკონდა“-ს (Ac onda) ბატონ-პატრონი გახდა, რომლის საშვალებითაც თუთიას მსოფლიო წარმოების 20 პროც. კონტროლს უწევს,—ცდილობს ევროპის თუთიას წარმოებაში მნიშვნელოვანი როლის მოხვეჭას.

1925 წ. მან შესძლო ვერსალის ხელშეკრულების ძალით პოლონეთის ხელში გადასული გერმანული თუთიას წარმოების, გიშეს მემკვიდრეების ქარხნების ხელში ჩაგდება. ამ გარემოებით ამერიკული კაპიტალის ხელში გადავიდა ერთი ძლიერი დარგთაგანი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჰარიმანი უკვე ძლიერი ფაქტორი გახდა კონტინენტის თუთიას წარმოებაში.

ევროპის თუთიას წარმოებაში ამ ჟამათ სამი მთავარი ჯგუფი იბრძვის ბატონობისათვის: 1. გერმანული; ოტოვოლფ, რ. ედელ, რ. ნუნბერგ და გადენბახ ზილვერვერგის ჯგუფი, 2. ბელგიის უდიდესი თუთიას წარბოება ვიელ მონტან, 3. ინგლისურ-ავსტრიული ჯგუფი. სამივე ჯგუფი დაინტერესებულია არსებულ თუთიას წამოწყებაში გაბატონდეს. აღნიშნულ ჯგუფებს 1925 წლიდან დაემატა ჰარიმანი. ამ უკანასკნელის საქმიანობა ამ ბოლო ხანებში მიმართულია იმ მხრივ, რომ დაეპატრონოს, ყოველ შემთხვევაში საგრძნობელი გავლენა მოიპოვოს ორ დიდ წამოწყებაზე; შტოლბერგის (რეინის ოლქი) თუთიას ქარხნებზე, და ჰოენლოეს წარმოებაზე, რომელიც პოლონეთის სილეზიაში იმყოფება და ერთ უძლიერეს დარგთაგანს წარმოადგენს. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჰარიმანს უკვე ერთი მილიონი მარკის შტოლბერგის აქციები შეუძენია. ეს ჯამი ჯერჯერობით დიდ რაოდენობას არ წარმოადგენს, მაგრამ უკანასკნელი საბირჟო მანიპულიაციების ტენდენცია აშკარათ გვიჩვენებს ჰარიმანის მოსალოდნელ გაძლიერებას აღნიშნულ წარმოებაში, მართალია დანარჩენი აქციები მაგარ ხელში იმყოფება (ზემო მოყვანილი სამი ჯგუფის ხელშია) მაგრამ ადვილი მოსალოდნელია გარეშე ჯგუფის საშუალებით ჰარიმანი აქციების საგრძნობელ ნაწილს დაეპატრონოს.

ჰოენლოეს წარმოებაში მდგომარეობა უფრო რთულია, ვინაიდან წარმოება მეტის-მეტად კარგ ნიადაგზე დგას. ფინანსიურ კრიზის არ განუცდის აქციების უმრავლესობა იმყოფება ჩეხელ ინდუსტრიელის პეჩეკის ხელში. გარედ დარჩენილი აქციები ვერ შექმნის საგრძნობელ გავლენას. ამიტომ აქ მოსალოდნელია მხოლოდ ერთგვარი სინტეზი პეჩეკსა და ჰარიმანს შორის. რამდენათ ჰარიმანის გაძლიერება ორთავე წარმოებაში ფაქტი გახდება, ეს ახლო მომავალის საკითხი არის. თვით ფაქტი და მისწრაფება კი იმის მაჩვენებელია, რომ იანკეეს ოქროები მიისწრაფვის ევროპისაკენ, არა როგორც საკრედიტო თანხები, არამედ, როგორც მომქმედი ძალა მნიშვნელოვან ინდუსტრიებში, რაც თავისთავათ ცხადია ამერიკის კაპიტალს უაღრესათ აქტიური ფაქტორის როლს მოუხვეჭს.

უკვე მესამე თვეა, რაც ინგლისის ქვანახშირის მაღაროები წარმოებაშია. გაფიცვების შემდეგ მაღაროს ბარონები ფიქრობდენ საბოლოო გამარჯვების იმ მხრივ გამოყენებას, რომ ქვანახშირის წარმოებას მაღალი კონინკტურის პერიოდში შეიყვანდენ. სინამდვილეში კი დი-

დი კრიზისი შეიქმნა. სამუშაო დროის გაგრძელების ნიადაგზე მუშახელის რაოდენობა შემცირდა 140.000-ით; ხოლო ნახშირის დამუშავებამ იმავე ნორმას მიაღწია, როგორიც იყო გაფიცვების წინა ხანებში.

8 იანვარს 1927 წ. კვირეული დამუშავება უდრიდა . . . . 5.025.300 ტონ.
1 მაისს 1927 წ. კვირეული დამუშავება უდრიდა . . . . . 5097.700 „

და ეს მაშინ როდესაც გაფიცვის წინა კვირეში მუშახელის რაოდენობა 1.106.200 ხოლო 8 იანვარს 1917 წ. 966.700 კუბ. უდრიდა. მუშახელის შემოკლება უდრის $12^{1}/_{2}\%$.

კრიზისმა იჩინა თავი გასაღების ნიადაგზე. განსაკუთრებით დაიკლო ექსპორტმა. დანაკლისი უდრის 220 ათას ტონას კვირეულით. და ეს, იუხედავათ იმისა რომ უცხოეთის მეტოქეობის გამო ფასები საგრძნობლათ დაწეულ იქმნა. კარდიფის საუკეთესო ნახშირი 1926 წლ. აპრილში 26 შილინგს ფასობდა ერთი ტონა, ხოლო ამ ჟამად მხოლოდ 23 შილინგი ღირს. მეშალაროები იძულებული გახდება ფასები კიდევ უფრო შეამციროს, ვინაიდან შეერთებული შტატების და გერმანეთის ნახშირი ამ მხრივ დიდ გავლენას ახდენს. ასე რომ წარმოებას უახლოესი პერსპექტივები საგრძნობლათ დაცემული კონიუნქტურაა. ეს გარემოება გასაკვირელიც არ არის, ვინაიდან ტეხნიკურათ ჩამორჩენილი ინგლისის მაღაროები სამუშაო დროის გაგრძელებით უცხოეთის წარჩინებულ ნახშირის წარმოებას ვერ გაუმკლავდება. მით უმეტეს, რომ ტრადიციულათ შექმნილი ბაზრებზე ბატონობა გაფიცვებმა ძირიანფესვიანად შეარყია.

* * *

ომის შემდეგი წლები ბამბის ფასის თანდათანობითი გადიდებით ხასიათდებოდა, რასაც იწვევდა ცენტრალური ნაწარმოების ფასების მაშინალურ ზრდასა. 1924 და 1925 წლის მოსავალი შეერთებულ შტატებში, ფასოვნობის შექმნის მხრივ რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს საერთაშორისო ბაზარზე, შედარებით კარგი იყო, მაგრამ საგრძნობელი გავლენა ბამბის და ბამბეულობის ფასებზე ამ გარემოებას არ მოუხდენია. გასულმა 1926 წელმა ამ მხრივ უჩვეულო შედეგები მოგვცა. 1925 წლის მოსავათი უდრიდა 15 მილიონ კონას, 1926 წლის კი 18,618,000 კონას. ამ ჯამიდან 15,5 მილიონი კონა კურკისაგან უკვე გაწმენდილი იქნა, რამაც ბამბის მიწოდების რაოდენობა არაჩვეულებრივად გაადიდა. თუ გასული წლის თადარიგს 5,5 მილიონ კონას ამ ჯამს დაუმატებთ, მივიღებთ უჩვეულო რაოდენობას, რამაც ფასების კატასტროფიული დაცემა გამოიწვია. ერთი ინგლისური გირვანქა ბამბა 1925 წლ. ნოემბერში ფასობდა 20,85 ცენტს, გასული წლის სექტემბერში ეს ფასი დაეცა 14,90 ცენტამდე., ოქტომბერში 12,85, ხოლო დეკემბერში 12,95 ცენტამდე.

ამ გარემოებამ ყველა ქვეყნების ტექსტალურ წარმოებას მძიმე პირობები შეუქმნა, რაც არსებული მარაგის სიძლიერის გვერდით ახალი მასალისაგან დამზადებამ ავტომატიური ფასების დაკლება გამოიწვია. განსაკუთრებით ლანკაშირის და ელზასის ტექსტალური წარმოება დაზარალდა. ამას დაერთო ამერიკული ფერმერების უკმაყოფილებაც, რადგანაც მოულოდნელმა ფასების დაცემამ ბამბის მეურნეობა ხიფათში ჩააყენა. ამ ჟამად უკვე საკითხია დასმული ბამბის მეურნეობის შემოკლების შესახებ, რაც მომავალი წლისათვის ფაქტი ხდება, რათა ფასების გაწესრიგება უფრო ხელსაყრელი დარჩეს, საერთოთ მომავალმა წელმა უნდა მოგვცეს ტექსტალური ნაწარმოების საგრძნობელი გაიაფება.

* * *

საიმპერიო სტატისტიკური ბიუროს მიერ ახლახან გამოქვეყნებული ცნობების ძიხედვით გასული 1926 წელს გერმანეთის საგარეო ვაჭრობა შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

იმპორტი 9.950 მილიონი მარკა.
ექსპორტი 9.918 „ „

მთელი საგარ. ვაჭრ. 19.768 „ „

აქედან ერთი შეხედვით ირკვევა, რომ ბალანსი პასიურია, მაგრამ თუ მოყვანილ ციფრებს სათანადო ანალიზს გაუკეთებთ, დავინახავთ, რომ გერმანეთის საგარეო ვაჭრობა 1926 წელში უაღრესად აქტიური იყო. საერთოდ ცნობილია, რომ როგორც ექსპორტის ისე იმპორტის დროს დანიშნული ფასები ფაქტიურ ფასებიდან განსხვავდება Frankfurtet Seitung-ი ამ განსხვავებას საექსპორტო საქონელზე 1,5 პროც. ნაკლებს, ხოლო იმპორტის დროს 30 პროც. მეტს. თუ ჩვენ ამ ციფრებს გამოვიყენებთ, და ვნახავთ რომ ექსპორტი 300 მილიონი მარკით გბდააჭარბებს იმპორტს. ასე რომ ამითაც ბალანსი უაღრესად აქტიური იქნება. ხოლო თუ ამ ჯამს ე. წ. ნივთიერ სარეპარაციო ვალდებულებებს დაუმატებთ რომელიც 1926 წელში სხვადასხვა საქონლის სახით ანტანტის ქვეყნებში იქნა გატანილი, აქტიური მხარე ბალანსის 600 მილიონი მარკით გადიდდება, ასე რომ მილიონი აქტივი 1926 წლის საგარეო ვაჭრობის 1 მილიარდ ოქროს მარკაში გამოიხატება.

მეტად ყურადსაღებია ის მოვლენა, რომ გასული წლის საგარეო ვაჭრობა უკვე 1913 წლის საგარეო ვაჭრობას გაუთანასწორდება და ეს არა ნომინალურია, არამედ ომის წინა წლის ფასებში გამოხატვით.

აღსანიშნავია აგრეთვე ფასების დაწევის ტენდენცია. 1916 წლის ფასები 9 პროც. ნაკლებია ვიდრე 1915 წლის, რაც საერთო სამეურნეო კონიუნკტურის გაჯანსაღების სიმპტომათ უნდა ჩაითვალოს.

ცხადია ანგარიშ გასაწევია ის მსხვერპლი, რომელთა შედეგათ ეს მიღწევები შესაძლებელი გახდა. აქ უნდა აღინუშნოს სამიშაო ხელფასის მინიმუმამდე დაყვანა. სამუშაო დროის გაგრძელების ტენდენცია, მალული გადასახადები და სხვა მრავალი შევიწროებები, რაც მძიმე ტვირთად მხოლოდ მუშათა კლასს დააწვა.

იპ. ნარხია.

# ექ. დიმიტრი ნაზაროვის გარდაცვალების გამო

24 თებერვალს, ქ. ქუთაისში დაკრძალეს მედიცინის დოქტორი დიმიტრი ნაზაროვი. ამ ამბავს გულის ტკივილით შეხვდებიან ჩვენი რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეთა ჭალარა თაობა, რომელსაც დიმიტრი ნაზაროვი ემსახურებოდა, როგორც ექიმი მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში. ის იყო საუკეთესო ექიმი და იმავე დროს საუკეთესო ადამიანი, რომელიც თვითმპყრობელობის დროსაც კი ახერხებდა მუშებისადმი დიდ დახმარებას და თანაუგრძნობდა, როგორც ექიმი და იმავე დროს უაღრესად დემოკრატიული ბუნების ადამიანი იყო. ექიმმა ნაზაროვმა ორმოცდაათი წლის განმავლობაში ემსახურა ხალხს; მაგრამ მისი მოღვაწეობა არ განისაზღვრებოდა მარტო ექიმობის ვიწრო ასპარეზით ის იყო ტიპიური საზოგადო მოღვაწე, რომელიც შეძლებისდაგვარათ ცდილობდა გამოექვლია და გაეშუქებია ჩვენი ქვეყნის ყველა საჭირბოროტო კითხვები. ის პირველი იყო ჩვენში, რომელიც აწარმოებდა ენერგიულ ბრძოლას საქართველოში ერობის შემოღებისთვის.

ჩ0-იან წლებში დიმიტრი ნაზაროვი რედაქტორობდა ცნობილ გაზეთ **„შრომას“**. იგი დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა რევოლიუციონურ მოღვაწეებს და ასეთ შემთხვევაში ხშირად უდიდეს საფრთხესაც არ ერიდებოდა. ქუთაისში მომუშავე ამხანაგებმა იციან, თუ როგორ გადაარჩინა მან ცნობილი რევოლიუციონერი მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი, გენერალ ალიხანოვის კლანჭებიდან.

დიმიტრი ნაზაროვი საუკეთესო ტიპია ხალხოსნურ უანგარო ექიმისა...

ჩვენ გვჯერა, რომ დიმიტრი ნაზაროვის სიკვდილი გულწრფელად დაალონებს ჩვენ რკინისგზელ მუშათა ოჯახს.

ვ. ლ—ძე.

# უნდა ხმა ამოვიღოთ

მე არც დიდი მწიგნობარი ვარ და არც იმდენი დრო და შეძლება მაქვს, რომ ცხოვრებას სათანადოთ ვადევნო თვალყური, მაგრამ რამდენადაც კანტი-კუნტად ვეცნობი გაზეთებს, აშკარათ ვხედავ, რომ კიდევ ვიღაცეები ოცნებობენ ჩვენი ქვეყნის „გაბედნიერებაზე“, საქართველოს „განთავისუფლებაზე“. რასაკვირველია მე და ჩემს ამხანაგებს ამაზე არას გვეტყვიან და ჩვენს საქმეში ჩარევას ზედმეტათ მიიჩნევენ, როგორც ეს მოხდა 1924 წლის აგვისტოში. მაშინაც არ უთქვამთ ჩვენთვის არაფერი არც საზღვარგარეთელ ემიგრანტების მიერ მოგზავნილ აგენტებს, არც აქაურ ქვეყნის „ამშენებლებს“. მაგრამ, მიუხედავათ ამისა ჩვენ სავსებით ვიგემეთ მათი მწარე ნაყოფი საშინელი ავანტიურისა.

რა მოგვცა ჩვენ და ჩვენს ქვეყანას, მუშებს, გლეხებს და ავანტიურის მსხვერპლთა გაუბედურებულ ცოლშვილს ავანტიურამ? მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური, მორალური და ეკონომიური ზიანი, რასაც ათიოდე წლის განმავლობაში ვერ აინაზღაურებს ჩვენი ქვეყანა. და ნუ თუ ყველა ამის შემდეგ კიდევ ვინმე ჭკუათ მყოფელი ფიქრობს და ოცნებობს ხელი შეუწყოს აგვისტოს ავანტიურის განმეორებას. ჩვენ პირდაპირ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ჩვენში კიდევ გაბედოს ვინმემ ასეთი რამე. თუ ასეთები ჩვენში აღმოჩნდებიან, ნურას უკაცრავად თუ წინ მათ არ ავყვეთ და პირდაპირ გამოუცხადოთ, რომ ისინი უსაშინელესი მტრები არიან ქართველ ხალხისა, რომ ისინი დაღუპვას უმზადებენ ისედაც მცირე რიცხოვან ქართველ ერს.

რა სურს ამ ხალხს, რა არ მოსწონთ დღეს საბჭოთა საქართველოში? ნუ თუ ისინი ვერ ხედავენ იმ დიდ მუშაობას, რომელიც სწარმოებს დღეს ჩვენში? გზები კეთდება, ელ-სადგურები შენდება, ქალაქების ქუჩები განიერდება, ბაღები ეწყობა, საცხოვრებელ ბინებზე აუარება ფული იხარჯება, განაპირა მუშათა უბნები მშვენიერდება, კოოპერატივები ერთი ასათ მრავლდებიან, წიგნების გამომცემლობა წარმოუდგენელად განვითარებულია, რკინის გზა წესიერად მოძრაობს და სხვა მრავალი...

მართალია ყველაფერი უნაკლულო არ არის, მაგრამ განა შეიძლება ისეთი ქვეყანა, სადაც ყველაფერი უნაკლულო იყოს? განა შეიძლება წესწყობილება ყველასათვის მოსაწონი და მისაღები იყოს?

რატომ არ უნდა დავინახოთ ის რაც კეთდება, იმიტომ რომ ყველა ეს კომუნისტებმა გააკეთეს? მაშასადამე სჯობია. რომ ისევ დავანგრიოთ ყველაფერი, იმ იმედით, რომ შემდეგ ჩვენ ჩვენს ჭკუაზე ავაშენოთ? ძერე ეს არის საქმის კეთება? ეს არის სოციალისტური მშენებლობა? არა მოქალაქენო. ეს არის კერპობა, ჯიუტობა და მეტი არაფერი.

ასეთი ჯიუტობა დამღუპველია ჩვენი ქვეყნისა, ამას დაღუპვისაკენ მიჰყავს ჩვენი ხალხი და ამას მთელი ჩვენის ძალ-ღონით უნდა შევებრძოლოთ. ამაზედ ყველა ჩვენგანმა უნდა ამოიღოს ხმა. ყველა უნდა შეებრძოლოს ქვეყნის ორგულებს სიტყვით, წერით და საქმით.

გრ. ულენტი.

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება
# რა ვაკეთოთ?

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ღირსეული მემკვიდრე იყო საქ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის. ის საქმიანობა, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი ორგანიზაცია, სავსებით ეთანხმებოდა მენშევიკური პარტიის პოლიტიკურ ხაზს.

იმ უძიზნო ბრძოლებში, რომელიც მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით იქმნა წარმოებული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ—ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამაც შეიტანა თავისი წვლილი. ის მენშევიკურ პარტიასთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა იატაკს ქვეშიდან და მთელი თავისი ენერგიით აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა საქართველოს „გასანთავისუფლებლად“.

საქართველოს სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ, როგორც მთლიანმა პოლიტიკურმა ძალამ სრული ნგრევა განიცადა, ის სულ აღიგვა პირისგან ქვეყნისა. ასეთი მოვლენა იშვიათია პოლიტიკური პარტიების ისტორიაში.

ის განადგურდა იდეოლოგიურად, — რასაც შედეგად მოყვა მისი ფიზიკური განადგურებაც. როგორც მუშურ-გლეხური პარტია ის აღარ არსებობს. პარტიის მშრომელმა ნაწილმა უკვე დიდი ხანია ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა მასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან ეწევა გულწრფელ თანამშრომლობას. დღიდან თავისი დაარსებისა ახალგაზრდა მარქსისტა ორგანიზაცია მუდამ მენშევიკური პარტიის პოლიტიკური ხაზის მატარებელი იყო. მენშევიკური იდეოლოგიის გავლენა ახ. მარქსისტთა აზროვნებაზედ ღრმა და ძლიერი იყო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან თეორიულ შენაძენის პრაქტიკული განხორციელება ახალგაზრდა მარქსისტებს უხდებოდათ „დემოკრატიზმის“ პრინციპზე აგებულ საქართველოში.

მენშევიკური პარტიის იდეოლოგიურ ორგანიზაციულ რღვევას თან მოყვა ახ. მარქსისტთა ორგანიზაციების გახრწნაც და დღეს ის არარაობამდეა მისული. 1923 წლიდან დაწყებულ მენშევიკურ პარტიის ლიკვიდაციას თან მოყვა—ახ. მარქსისტთა ორგანიზაციების ლიკვიდაციაც.

მაგრამ თავის მოტყუილება იქნება, რომ ვსთქვათ, თითქოს ამით ყველაფერი გათავებულიყოს: მას შემდეგ ჩვენ მოწმე შევიქენით აგვისტოს სისხლიანი ავანტიურის, რომელშიაც ახ.-მარქსისტთა ორგანიზაციაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

აგვისტოს ამბებმა კიდევ უფრო გამოაშკარავა მენშევიკური პარტიის სიკოტრე, ყველასათვის დასანახი გახდა იგი. ამის შემდეგ საბოლოოდ გაიფანტა ის ბურუსი, რომელიც გარს გვეხვია და საღ პოლიტიკურ აზროვნების საშვალებას არ გვაძლევდა. ამ გამოფხიზლების შედეგი იყო „მუშათა კომისია“.

მეტად რთულ პირობებში მოუხდა მას საქმიანობა. მაგრამ მან მაინც დიდი საქმე შეასრულა. მან შესძლო ყოფილ მეხშევიკ მუშების და გლეხების აქტივის დიდი ნაწილის საბჭოთა საქმიანობაში ჩაბმა.

მაგრამ მის საქმიანობას აქვს ნაკლიც, სახელდობრ ის, რომ **ახალგაზრდა მარქსისტებში სათანადო მუშაობა არ ჩატარებულა.** შედეგი იმ უყურადღებობის არა სასურველია. ყალბ იდეოლოგიურ გზაზე მდგომი ორგანიზაცია განიცდის ხრწნის პროცესს. ეს კი დამღუპველად მოქმედობს ახალგაზრდობაზე.

როგორც ვიცით მენშევიკების არალეგალური ცეკა არ მალავს, რომ მას დიდი იმედი აქვს სწორედ ამ ახალგაზრდობისა, რა თქმა უნდა, ყოველის ძალით ეცდება, რომ როგორმე ის ახალგაზრდები ჩააბას არალეგალურ მუშაობაში.

მენშევიკების ცეკამ კარგად იცის რომ მის ანკესზე მხოლოდ გამოუცდელი და პოლიტიკურად ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ახალგაზრდა თუ წამოეგება.

ამიტომაც არის რომ მენშევიკების უკანასკნელი არალეგალური კონფერენცია, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის დაპყრობის საკითხს.

ამ მიზნით მენშევიკები ყოველ მხრივ სცდილობენ წყალი აამღვრიონ და ათასგვარ ჭორებსა და ლეგენდებს ავრცელებენ ჩვენს ახალგაზრდობაში.

ამავე დროს ეს ჯაჯებატონები „მარქსისტულად“—ხსნიან პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას და საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესების აშკარა მოღალატეობას. ჩვენ კი კარგად ვიცით, რომ მათი დღევანდელი „საქმიანობა“ კვლავ ახალ უაზრო ავანტიურისაკენაა მიმართული.

ამიტომ ჩვენ ამოცანას შეადგენს დაუზოგველი ბრძოლა ავანტიურის წინააღმდეგ, ფართო კომპანიების ჩატარება მოსწავლე და გლეხურ ახალგაზრდობაში და ყველა იმ ფენებში, საიდანაც წარსულში ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია კრეფდა თავის წევრებს.

საჭიროა განმარტება და ფართო საუბრების მოწყობა სხვადასხვა პოლიტიკურ თემებზე, საჭიროა მოხსენებებით გამოსვლა და მიუდგომელი, მართლაც მარქსისტული გადაფასება ყველა იმ ნამოქმედარის, რომელსაც ეწეოდა მენშევიკური პარტიის კარნახით ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია. ასეთი მუშაობა მეტ ნაყოფს მოიტანს, ვიდრე ზღაპარ-ლეგენდების ყურისგდება და მათი აკოლა.

„გულის ჯავრის პოლიტიკის“ დრო წავიდა, მთელმა რიგმა ფაქტებმა ნათელჰყო სიმართლე საითკენ არის, დროა თავის თავს გაუკეთოთ სასტიკი და მოურიდებელი კრიტიკა.

**ანტონ შავგულიძე.**

# მოწაფის ხმა

„ახალგზელში“ (იხ. 4 იანვრის №) წავიკითხე ამხ. ახალგზელის წერილი, რომელშიაც ავტორი ეხება „პარიზის“ ჭუჭყიან ცდას ჩაითრიოს ახალგაზრდობა მის ბნელ საქმეებში და თავს მოახვიოს მას ავანტიურის მთელი საშინელება. მეტი რა გზა დარჩენიათ ამ ავანტიურისტებს, რომელნიც კარგად ხედავენ, რომ პროლეტარულ და გლეხურ მასებში ნიადაგი გამოეცალათ.

მოსწავლე ახალგაზრდობა,—ვკითხულობთ „ახალგზელში“ მათი ახალი საკბილო გამხდარა. აქ შლიან ისინი თავიანთ ბადეს და „საწყალი ხალხი სცვივა ამ ბადეში“ პარიზის გმირებს მართლაც, რომ მოუნახავთ საკბილო. ამ წრეში მას მართლაც შეუძლია საგრძნობი გავლენა მოიპოვოს და აი რატომ. რას წარმოადგენს დღეს მოსწავლე ახალგაზრდობის თუნდაც ის ნაწილი, რომელმაც საშუალო სასწავლებელი ვითომ დაასრულა, მაგრამ უნივერსიტეტში შესვლა ვერ მოახერხა? სიმართლე უნდა ითქვას ახალგაზრდობის ეს ნაწილი მეტის-მეტად მოუმზადებელია და ეს იმიტომ, რომ სწორედ ამ ახალგაზრდობამ გადაიტანა თავის თავზე რევოლიუციისა და სამოქალაქო ომის მთელი საშინელება. ვის ეცალა ამ დროს სწავლისათვის? და კიდეც რომ სცდოდა, სიმშილი და სიღარიბე სრულიად შეუძლებლად ხდიდა ნაყოფიერი სწავლის შესაძლებლობას. მეორეს მხრით ამავე მიზეზებით სკოლას მოსცილდა მომზადებული და გამოცდილი მასწავლებლობის საგრძნობი რაოდენობა. სასწავლებლები გაივსო უცოდინარი მასწავლებლებით. დრო გამოშვებით სკოლაში მოსიარულე მოწაფეები იქ ვერაფერ სერიოზულსა და ცხოვრებაში გამოსადეგს ვერ იძენდენ. მას შემდეგ, რაც სამო[illegible] ომი დასრულდა და როცა [illegible]ანა აღმშენებლო[illegible] მუშაობას შეუდგა, [illegible]ი პირობები დადგა ს[illegible] შეძენისათვის, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელზედაც მე აქ ვლაპარაკობ, ისევ ძველ პირობებში დარჩა. სახელმწიფოს მთელი შემოქმედებითი მუშაობა, როგორც ინდუსტრიალიზაციამ, ისე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ მოითხოვა სპეცები, რომლებიც შესძლებდნენ ახალი საქმის ხელმძღვანელობას. საქმიანმა პერიოდმა საქმიანი ხალხი მოითხოვა და ჩვენ არაფრის მცოდნე ახალგაზრდობა დარჩით საქმის გარეშე, ცხოვრებიდან გარიყული. ბედნიერია ის, ვინც უნივერსიტეტში შესვლას ეღირსება. მაგრამ ამისათვის საჭიროა, გამოცდების ჩაბარება, რაც საშუალო სასწავლებელ გათავებულის მხრივ მოითხოვს სერიოზულ მომზადებას. ამისათვის საჭიროა ფული, რაც უბრალო გლეხსა და მუშას არ აბადიათ. ახლა ვიკითხოთ, სად მიდის უნივერსიტეტს გარედ დარჩენილი ახალგაზრდობა? ამ ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა რჩება უსაქმოდ, უბრალო ქუჩაში მოყიალე, ქუჩის მტკეპნელად. ასე ატარებს დროს ქალაქების ახალგაზრდობა. მაგრამ ასევე ატარებს დროს სოფლის ახალგაზრდობაც. და ეს ადვილი მისახვედრია. მიწაზე მუშაობა ამ საქმეს გადაჩვეული ახალგაზრდობისათვის შეუძლებელი ხდება. ხელობის სწავლა უკვე გვიან არის და ესეც რომ არ იყოს, ასეთი „ატესტატიანი“ ახალგაზრდობა **რჩება უსაქმოთ, უმიზნოთ, უხელმძღვანელოდ,** და განა გასაკვირია, რომ ასეთმა ახალგაზრდობამ საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსთვის მავნე ელემენტობა იკისროს. ასეთი ახალგაზრდობა სულ ადვილად ეგება პროვოკაციის ანკესზე. მტერი ყოველთვის სცდილობს მოწინააღმდეგეს სუსტ ადგილას უკბინოს და პარიზის ემიგრაციაც თავისი ბნელი ზრახვების განხორციელებას სცდილობს ამ ახალგაზრდობის ხელით. ან რა ენაღვლებათ პარიზში, რომელნიც თბილად მოკალათებულნი არიან და მათი წაქეზებით აქ საქართველოში ქართველი ახალგაზრდობა ილუპება, ფიზიკურად და მორალურად ნადგურდება? სად არის ხსნა, ვინ უნდა მიხედოს ამ ახალგაზრდობას, ვინ უნდა დეხმაროს, ვინ უნდა რალურად ნადგურდება? სად არის ხსნა, ვინ უნდა უშველოს, ვინ უნდა მიხედოს ამ ახალგაზრდობას, ვინ [illegible]ა გაუწიოს მას პატრონობა? აქ მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია ამ ახალგაზრდობის დახსნა დაღუპვისაგან. ხელისუფლებამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ ეს ახალგაზრდობა მოამზადოს თვისი სოციალისტური სამშობლოს ღირსეულ მუშაკებათ. ასეთ ახალგაზრდობას უნდა შეუქმნათ ისეთი პირობები, რომ ვერავითარ ძალას არ შეეძლოს მისი ავანტიურაში ჩათრევა.

დამიჯერეთ, საქმეს უშველის მხოლოდ ასეთი ნაბიჯები და არა მარტო გაკიცხვა პარიზის ემიგრაციისა, რომელიც ცდილობს აუმხედროს საბჭოთა ხელისუფლებას ეს უკმაყოფილო ელემენტები.

**მოწაფე.**

სარედაქციო კოლეგია

ტფილისის ალმასკომის 1-ლი სტამბა, აკმის ქუჩა, № 68. ტირაჟი 10,000.